ხუთშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 12 № 238
ცელიწადი მეოთხე

ხუთშაბათი. 1918 წ. ქრისტეშობისთვის 12 № 238
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

ხაგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15—73**

## უკანასკნელი ცნობები

გაზ. „ტაიმსის" ცნობით პირველ კონფერენციის მუშაობა ქრისტეშობისთვის ბოლოს დასრულდება; მარტში ან აპრილში შეთანხ. სახელმწ. საერთო საზავო კონფერენცია და ბოლოს როგორც შეთანხმების, ისე მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა კონგრესი.

ბერლინში დემონსტრაციები იმართება. ქალაქის მთავარ უბნებში ჯარი სდგას.

ინგლისურ ჯარმა ჰოდესბერგისა და კიოლნის შუა რეინს მიაღწია.

პეტლიურას ჯარი წინ მიდის. რამდენიმე დაბა სოფელი აიღო.

სანაინთან ჩასაფრებულ სომხებმა ჩვენ ჯარს სროლა აუტეხეს. ჩვენი მხრით მოკლულია 5, დაჭრილია 1, მსუბუქად დაჭრილია 6 უკვალოდ დაიკარგა 2.

---

გულდათუთქულნი: მეუღლე სოფიო იოსების ასული; შვილები: სოსო, ასიკო და საშა; მშობლები: დეკანოზი გიორგი და ნატალია ანდრიას ასული; ძმები: ალექსანდრე, დავით, შალვა და გრიგოლ: დები: მინადორა გიორგის ასული სმირნოვისა და მარიამ გიორგის ასული იანქოშვილისა; ბიძა ვასილ ღვთისავარის ძე მეუღლით და შვილებით დეიდა ელისაბედ ანდრიას ასული ქასაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარის

**მირონ გიორგის ძე**

**მარინაშვილის**

სულის მოსახსენებლად, დღეს ხუთშაბათს, 12 ქრისტეშობისთვეს პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკკლესიაში გადახდილ იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდის დასაწყ. შუადღ. 12 ს.

---

## სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ევლახოვისა**

ხუთშაბათს, 12 ქრისტეშობისთვეს, სახალხო გვარდიის დღეს

**სადღესასწაულო სპექტაკლი დიდი აპოთეოზი**

II. შულგინას, კანშინის, ორდას, ინაევას მონაწილეობ **ჯამბაზები**

III. **ბალეტი** (ჯიოკონდას ოპერიდან საათების ცეკვა).

შაბათს, 14 ქრისტეშობისთვეს ბ. ი. ზალიპსკის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის ასანიშნავად „პიკის ქალი".

კვირას, 15 ქრისტეშობისთვეს შულგინას, შვამბერგის, იანსას, კანშინის, პოლიაევის მონაწილეობით „ნერონი".

სამშაბათს, 17 ქრისტ. საბანეევას, მაროზვის, ზალიპსკის, ნიკოლსკის მონაწილეობით „ჰოფმანის ზღაპრები".

---

**ვარძ. — სახელმწიფო თეატრი — № 3.**

პარასკევს, 13 დეკემბერს, 1918 წ.

**„კავშირის" დასის მიერ**

წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის ორიგინალური პიესა

## თის ზღაპარი

3 მოქმ.

რეჟისორი შალვა დადიანი. ✦✦✦ თანაშემწე ალ. გუგუშვილი.

**პიესა ავტორის დადგმით.**

მსახიობნი: დავითაშვილი ნ., სინაურიძე ო., ჩერქეზიშვილი ელ., ჩხეიძე ან., აპტოლიდი, გამყრელიძე ვ., ვასაძე, იმხნელი გ., ფრონისპირელი გ., ცეცხლ-შვილი ნიკ., ძნელაძე დ., ჯაფარიძე შ.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ✦ ადგილების ფასი ხელმისაწვდომია.

მორიგე წარმომადგენელი ალ. გაჩეჩილაძე. ✦ კანტროლი გ. იორდანიშვილი. მსახიობთა კავშირის დირექცია.

**მზადდება: სინ თლე 1 ნაწ. ანტიგონე.**

---

ქ. ქუთაისი — კვირა, 15 ქრისტეშობისთვე

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია**

გაიმართება

## საზოგადო კრება

მომხსენებელნი არიან:

პარლამენტის წევრნი: **კედია სპირიდონ**, **მაჟავარიანი იოსებ**

---

**დღეს სახალხო გვარდიის დღეა**

**ქართული დრამატიული საზოგადოების**

**დ რ ა მ ა ტ ი უ ლ ი**

## სტუდია

ქ-ნნი: ანჯაფარიძე ვ., გამრეკელი ბ., გურგენიძე ვ., ერისთავი ა., ნადირაძე თ., ნინონი, ქიქოძე ა., ქიქოძე ალ., წერეთელი ნ., წერეთელი ნან., ლოლობერიძე თ., ცხვედიანი ვ.

ვაჟნი: აბაშიძე, ალექსიშვილი ა., ბერეჟიანი ს., ბერიშვილი შ., გელოვანი მ., გურული გ., ზარდალიშვილი ი., კობახიძე ვას., კოლხიდელი ა., მქავია დ., ნაცვლიშვილი დ., სარჩიმელიძე გ., სუმბათაშვილი ქ., ხერხეულიძე მ., ცინცაძე ნ., შათირიშვილი ა., ჯაბადარი გ., ჯიქია ვ.

სტუდიის ახალი შემადგენლობა ამ დღეებში განაგრძობს საცად წარმოდგენების მართვას არტისტულ საზოგადოების თეატრში. პირველად წარმოდგენილი იქნება: „ბურუსი". „ვითა ფოთლები", „დალატი", „იმედის დაღუპვა" და სხვა...

3—3 ადმინისტრატორი მიხ. ხერხეულიძე

---

ქალ. თბილისი — ქართული კლუბი

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია**

კვირას, 15 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 საათზე გაიმართება

## საზოგადო კრება

მომხსენებელნი არიან:

**გიორგი გვაზავა**, **ვლადიმერ ემუხვარი**, **გერონტი ქიქოძე**, **იასონ ლორთქიფანიძე**

---

## სახალხო გვარდიისათვის

ერთი წლის წინათ თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ხელმძღვანელობით და რუსეთის მაგალითების წაბაძულობით ჩვენში შეუდგნენ წითელ გვარდიის ორგანიზაციას, რომელსაც ეხლა ოფიციალურად სახალხო გვარდიას უწოდებენ.

მაშინდელ ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებას შემდეგი ვითარება ახასიათებდა.

ერთის მხრით ინტერნაციონალურად მოაზროვნენი რევოლიუციის მიმდინარეობასა და ჩაგრულ ერთა ნაციონალურ მისწრაფებებს შორის არავითარ კავშირს არ ჰხედავდნენ და ცდილობდენ ჩვენი ერის ნების გამომჟღავნებისათვის ხელოვნური დაბრკოლებები დაედვათ.

რა თქმა უნდა ამ მოვლენაში უმთავრეს და გადამწყვეტ როლს ჩვენ ქვეყანაში სხვა და სხვა შემთხვევით მოქცეული უცხოელები თამაშობდნენ, რომელთაც სრულებით უმართებულოდ გადაიბირეს ჩვენი ერის უმრავლესობის ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტია.

ხოლო მეორეს მხრით ნაციონალურად მოაზროვნე ელემენტებმა თავის დროზე აუღეს ალღო რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას და მას სწორი და სრულებით სამართლიანი ეროვნული მნიშვნელობა მისცენ.

ამ ორი, ერთი მეორეს დაპირისპირებული პოლიტიკური მიმდინარეობამ გამწვავებული ხასიათი სწორედ შარშან რუსეთის ბოლშევიკების გამარჯვების შემდგომ მიიღო.

მაშინდელი შექმნილი პირობები გვიკარნახებდენ ეროვნული მიზნების უზრუნველ საყოფად დაუყოვნებლივ შეგვექმნა რეალური ძალა, რომელზედაც საიმედოთ დაყრდნობა, ყოველ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა.

და ჩვენ საჭიროდ ვსცნობდით გვესარგებლნა ჩვენ ხელთ არსებულ ხელსაყრელ პირობებით და საჩქაროდ შეგვექმნა საიმედო ეროვნული რეგულიარული ჯარი.

მაგრამ სოციალ - დემოკრატიული პარტია გატაცებული იყო სულ სხვა იდეებით, ისინი ფიქრობდენ, რევოლუციის ლოგიკური მიმდინარეობით დარღვეულ „რუსეთის მთლიანი დემოკრატიული ფრონტის" აღდგენას და ამისთვის იკრებდენ ძალას.

თურმე საჭირო იყო გაბოლშევიკებული ეშელონების წარღვნისებური საფრთხე მოვლენოდა ჩვენ ქვეყანას, რომ „მართველი წრეების" გონება გამოფხიზლებულიყო.

მაგრამ კომპრომისებს ჩვეულ პარტიამ ამჯობინა ინტერნაციონალური წითელი გვარდია შეექმნა, ვიდრე ეროვნული რეგულიარული ჯარი.

ამ გარემოებას შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყოლოდა, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ამ „ინტერნაციონალურ" გვარდიაში ბოლოს და ბოლოს ქართულ ელემენტებმა და ქართულ ეროვნულ ინსტინქტებმა გაიმარჯვა.

ჩვენ მუდამ გვრწამდა ქართველი ხალხის ეროვნული გრძნობა და თუ მათი წინაპრები ნამგლით და ცელებით შეიარაღებულნი თავზარსა სცემდენ მოზავებულ მტერს, ეხლაც ქართველი გვარდიელების ეროვნული აღფრთოვანებით თავგანწირვა საღახლოს, სოხუმსა, დუშეთსა, ლეჩხუმსა და სამეგრელოში, იმის მაჩვენებელია, რომ ისინი მუდამ სამშობლოს ერთგული დამცველი იქნებიან, თუ მათ ეროვნულ თვითშეგნებას ხელოვნური დაბრკოლებანი არ გადაეღობება.

ამისდა მიუხედავად, როდესაც კითხვა ჩამოვარდება შეიარაღების სისტემის შესახებ, ჩვენ მუდამ უპირატესობას ვაკუთნებთ დაცდილ რეგულიარულ ჯარს.

ჩვენ ვფიქრობთ, გაივლის ეს „განსაკუთრებული პირობები" და ის ენერგია და სახსარი, რომელიც იხარჯება სახალხო გვარდიის შედგენილყოფაზე სავსებით მოხმარდება ჩვენი ნორჩი რეგულიარული ჯარის გაძლიერებას, რაც უფრო საიმედოდ გახდის ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.

დღეს კი სახალხო გვარდიის შედგენილყოფის ერთი წლის თავზე დიდის მადლობით ვიგონებთ მისი სამშობლოს თავისუფლებისთვის და კეთილდღეობისათვის თავგანწირულ საქმიანობას და ვუსურვებთ მომავალში თავის შეგნებით უდგეს სამშობლოს საიმედო დარაჯად ნორჩ დემოკრატიულ რეგულიარულ ჯართან ერთად.

## ბუდუ მდივანი

როდესაც ბ-ნ სოკოლოვის შუამავლობით მთავრობის თავმჯდომარე დატუსაღებულ ბოლშევიკებს ანთავისუფლებდა, ჩვენ ვაფრთხილებდით მთავრობას, რომ განთავისუფლება არ დააშოშმინებდა მათ და როგორც კი დროს იხელთებდენ საქართველოს წინააღმდეგ აიმართებოდნენ.

მაგრამ სოკოლოვის გავლენა ჩვენს მთავრობაზედ იმდენათ ძლიერი იყო, რომ, მისი სურვილი შესრულებულ იქმნა.

და სხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აჯანყებათა მომწყობი ბოლშევიკები ბუდუ მდივნის მეთაურობით, განთავისუფლებულ იქმნენ.

თავისუფლების მცირე შეზღუდვით: სასჯელის ნაცვლად გადაასახლეს. კავკავში.

იქ, სადაც ცენტრია ბოლშევიკების და აღვირახსნილი მოქმედება სწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ.

ბოლშევიკებსაც, უთუოდ, ეს უნდოდათ!

ბ-ნ სოკოლოვის „კაცთ მოყვარე" გულიც დიდათ მადრიელი დარჩა ჩვენი მთავრობის ესეოდენ „კეთილშობილური" აქტით.

მენშევიკებმაც მოიგეს სოციალისტების გული.

ბუდუ მდივანი კი თავის ამალით დაუყოვნებლივ გაემგზავრა „შორეულ" კავკავს და თუ როგორ გადუხადა ჩვენს მთავრობას ეს კეთილშობილება, იქაური ბოლშევიკების გაზეთი „კავკაზსკაია პრავდა" გვამცნობს: ახლად მისული ასეთის მოხსენებით წარსდგომია თავის „სოვდეპის მეგობრებს":

„თერთმეტი თვე ვიმყოფებოდი „დემოკრატიულ" საქართველოს რესპუბლიკაში; ამ დროს განმავლობაში სამი თვე დავდიოდი თავისუფლად, დანარჩენი დრო ციხეში გავატარე. მხოლოდ შიმშილობის გამოცხადების შემდეგ გაგვანთავისუფლესო".

„ზიზღი მათ".

ეს იყო „სოვდეპის" პასუხი საქართველოს მთავრობისადმი, ეს იყო „მადლობა" ბუდუ მდივნისა.

მაგრამ მარტო საყვედურებით არ კმაყოფილდება იგი; აცნობს თავის ამხანაგებს საქართველოს მდგომარეობას და აცხადებს:

„ქართველ გლეხობას ჯერ ძალა არ შესწევს მოიხსნას მთავრობის უღელი".

ამ უღლის მოხსნისათვის კავკავში კიდეც ზის ფილიპე მახარაძე და ალბად მას ეხლა ბუდუ მდივანიც მხარში ამოუდგება, მიხა ცხაკაიასთან ერთად, რომელიც მხოლოდ გუშინ წინ გაიგზავნა მათთან.

ბუდუ მდივანი აიმედებს კავკაველ ბოლშევიკებს:

„საქართველოს მთავრობას არ ძალუძს ძალა-უფლების შერჩენაო".

ესეთი დაიმედება ალბად სიმხნევეს შემატებს „ლენინის სახელობის" წითელ პოლკებსა, რომელნიც სომხებისაგან შესდგება და კავკავში უსაქმოდ სხედან და გული უძგერთ საქართველოზე გალაშქრებისათვის.

ბუდუ მდივნის მოქმედება ჩვენთვის გასაკვირი არ არის; სხვაგვარი მოქმედება მისი ბოლშევიკური ბუნებისაგან, ჩვენთვის მოსალოდნელიც არ ყოფილა.

საინტერესოა მხოლოდ როგორ მიიღებს ამ ცნობას ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე?

ისევ უცვლელი იქნება მისთვის ბ-ნ სოკოლოვის ნდობა თუ არა?

ლ. ჯაფ—ძე.

## პ რ ე ს ს ა

### სომხური პრესა

**სომხეთის ელზას-ლოთრენი.**

„ნორ-ჰორიზონის მე-17-ე №-ში, 10 ქრისტეშობისთვის თარიღით მოთავსებულია მეთაური ზემოაღნიშნული სათაურით. წერილი ეხება ახალქალაქისა და ლორის საკითხს და სომხეთის ელზას-ლორენად მონათლულია ახალქალაქის მაზრა და ლორი, უსამართლოდ დაჭერილი და მისაკუთრებული გაზეთის აზრით, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მიერ.

გაზეთი აღნიშნავს რომ „საქართველოს „დემოკრატიულ" რესპუბლიკის ჯარებმა, რომელთაც არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ სომხეთის მთავრობას ჯარების მხრით, აიღეს და საქართველოს მიწა-წყლად გამოაცხადეს" ლორი და ახალქალაქი „რომელთაგანაც პირველში, ლორში, გამონაკლისადაც კი არ მოიპოვება თითქმის არც ერთი ქართველებით დასახლებული სოფელი, ხოლო მეორეში—მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სომხობა შეადგენს".

მერე გაზეთი ამბობს თუ რამდენად შეუფერებელია ასეთი „აგრესიული ნაბიჯები საქართველოს რესპუბლიკის „სოციალისტებისა" მთავრობისათვის, მით უმეტეს რომ ეს მთავრობა თავის მხრით ბრალს სდებს აგრესიულ პოლიტიკის წარმოებაში უდიდეს პოლიტიკურ მიმდინარეობას სომეხთა შორის...

„ჩვენ გვინდა აქ ოდნავ მაინც ხაზი გაუსვათ ორ გარემოებას. ერთია ის, რომ საქართველოს დღევანდელ აბრუნდის მოყვარულ „სოციალისტ" ხელმძღვანელებს არასოდეს, არც რევოლიუციამდე, არც რევოლიუციის მიმდინარეობის ხანაში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღემდე—არ ჰქონდათ არც კადნიერება და არც სურვილი სადმე და როგორმე ქართულად გამოეცხადებინათ ლორი და ახალქალაქი; მეორეც ის, რომ მთელ სომხის ერში არ არის და არც შეიძლება იყოს **რომელიმე** (ხაზი „ნ. ორიზ.") პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც მზად არ იყოს ყველა შესაძლებელი საშუალებით გამოვიდეს სომხის ერის ესოდენ აშკარად ფეხქვეშ გათელილ უფლებათა დასაცავად"...

„სრულიად ბუნებრივია და გასაგები, რომ ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ და სომხის ერის წმინდა და სამართლიან მოთხოვნილებათა გულისათვის მენშევიკების ძალმომრეობასთან უკანასკნელ შესაძლებლობამდე საბრძოლველად მზად არის დღეს **ხომეხი სოციალ-დემოკრატიც"** (ხაზ. „ნ.-ჰ.").

ქართველ მენშევიზმს, როგორც ჩანს, არ სურს ანგარიში გაუწიოს ყოველივე ამას და აშკარად ჰქმნის ამიერკავკასიაში ახალ კანონს; ახალქალაქისა და ლორის დაჭერის წყალობით—თუ გინდ დროებითაც—ის საღ სომ-

ბიბლიოთეკა

**ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.**
**დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას!**

ხის ერს ირედენტას შხამს უცრის და, უკანასკნელ, მსგავსი უხეში პოლიტიკით ის ახალქალაქსა და ლორს ელზას-ლორენად აქცევს სომხის ტომისათვის.

მეტად დაბალი წარმოდგენისა ყოფილა სომხის ერზე ის, ვინც ფიქრობს, რომ შესაძლებელია მის თავზე ასეთი კაკლის მტვრევა და მოხერხებულ შემთხვევაში მისი სხეულის ასო-ასო დაჭრა.

ჩვენ ჩვენ მოვალეობად ვთვლით ორივე მუდმივი მეზობელი ერის სოლიდარულ ცხოვრების გულისთვის გამომაფხიზლებელი სიტყვა ვუთხრათ შოვინიზმით დამთვრალს ქართულ მენშევიკებს, რადგან ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჩვენ ვიცით რომ სანამ ჯერ კიდევ ასეთი აგრესიული პოლიტიკა ბატონობს, სანამ დასახიჩრებულია სომხეთის პოლიტიკური სხეული, სანამ ჯერ კიდევ შეუწყნარებლად რჩება მისი სამართლიანი პროტესტი, ეს სოლიდარობა ვერ აშენებდა ნამდვილ შეურყეველ საფუძველზე.

სომხების მძიმე ისტორიული უღლის და ბედის მოზიარე ქართველი ერის ქვეყნის მპყრობელ ხელმძღვანელებს ჩვენ არ შეგვიძლია ერთხელ კიდევ არ ვუთხრათ: Quo Qadis Iveria (სად მიდიხარ ივერია?)“

საქართველომ კარგად იცის სადაც მიდის, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში შესვლა დასაწყისია საქართველოს დაკარგულ პროვინციების დაბრუნების, და ირედენტას შხამი სწორედ საქართველოს გულს უწყლდება, როცა გადამთიელები ედავებიან მშობლიურ ტერიტორიას, მაგრამ იმედია, რომ საქართველო მოასწრებს ირედენტას მოსპობას და გაამრთელებს თავის სხეულს—დაშნაკელებს პროვოკაცია და დაბეზღება არ გაუვათ იქ, სადაც ცივილიზაცია და სიმართლე უნდა ლაპარაკობდეს.

# ქრონიკა

**ინგლისელები.** სამშაბათს 10 ქრისტეშობისთვეს თბილისის სადგურზე ბაქოდან ბათომისაკენ 100 ინგლისელთა ჯარისკაც. გაიარა.

**თვითმკვლელობა.** 10 ქრისტეშობისთვეს სასტუმრო „ბრისტოლში“ გოლოვინის პროსპექტზე. ნ. გომელაურმა თავის მოკვლის განზრახვით, შუბლში რევოლვერის ტყვია დაიცა. დ. მრილი მიხაილოვის საავადმყოფოში წაიყვანეს.

**ქურდობა.** 9 ქრისტეშობისთვეს სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების საწყობიდან მოიპარეს ცარიელი ტომრები 54,000 მანეთის.

**დადგენილების შეცვლა.** რადგანაც ჩემდამი რწმუნებულ სალენერალ-გუბერნატოროში ამ უკანასკნელ დროს ცხოვრება შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობს, ამისთვის, საჭიროთ მიმაჩნია, რომ პირველი მუხლი 17 წარსულ ნოემბრის სავალდებულო დადგენილებისა, შევცვალო და იმის ნაცვლად ვაცხადებ, რომ ღამით ქუჩებზე მოძრაობა შეიძლება შუაღამის პირველ საათამდე, რის შემდეგ კი ვიდრე დილის 5 ნახევარ საათამდე ნება-დაურთველად ქუჩებში ყოველგვარი მოძრაობა აღკრძალულია.

ღენერალ-გუბერნატორი

ღენერალ-მაიორი **მაზნიაშვილი.**

7 დეკემბერი, 1918 წ. ქ. თბილისი.

**თავდასხმა.** 10 ქრისტეშობისთვეს საღამოს 8 საათზე ს. ასატუროვის სახლში გონჩაროვის ქუჩაზე № 58. 3 შეიარაღებული პირნი შეიჭრენ და 17,000 მან. ფულად და 10,000 მანეთის სხვადასხვა ნივთები წაიღეს.

**საგანგებო კომისია.** თბილისის სასამართლოს პროკურორის განკარგულებით საგანგებო კომისია დაინიშნა. სისხლის მილიციის მოქმედების სარევიზიოდ. კომისია მუშაობას კიდეც შეუდგა.

**გერმანელების გემები.** გუშინ 11 ქრისტეშობისთვეს ფოთში გერმანულ ჯარებისათვის გემი „ასგარი“ მოვიდა მეორე გემს „გენერალს“ დღეს მოელიან.

**სტუდენტების კოოპერატიული სასადილო.** გოლოვინის პროს. მილოვის სახლში № 24 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის კოოპერატიული სასადილო იხსნება. წევრებად მიიღებიან მხოლოდ ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტობა. ჩაწერა შეიძლება სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის ბინაზე. ვ. ძიძიგურთან გ. სვანიძესთან და მალ. კიკნაძესთან.

**სოჭიდან.** საერობო მუშაობა სოჭაში დაუბრკოლებლივ მიდის.

— გლეხთა ყრილობამ სრული ნდობა გამოუცხადა საქართველოს მთავრობას.

**ტოლსტონოგოვის დეპეშა.** გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო ნაწილის უფროსი ტოლსტონოგოვი დეპეშით იტყობინება ბაქოდან შემდეგს: „გთხოვთ უბრძოთ განკარგულება, რომ ბათუმში მოკავშირეთათვის 6 ცისტერნი ბენზინი გაატარონ ხვალ იგზავნება თბილისში ბენზინი და საცილინდრო ზეთი. მაქვს ნებართვა 2 ცისტერნა მანქანის ზეთის გამოსაგზავნად. ამ დღეებში მოემგზავრება თბილისში ადერბეიჯანის რკინის გზის თავმჯდომარე, წარმომადგენელი მათ რკინის გზათა მოძრაობის საკომერციო და სამექანიკო ნაწილების საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზებთან კონვენციის დადების შესახებ პირდაპირ სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლის დაწყებისათვის და იმ წესების შესამუშავებლად თუ რა რიგით უნდა მოხდეს მატარებელთა ერთი გზის მეორეზე გაცვლა-გადატანა.

**სახადი.** ქალაქის მედიკო-სასანიტარო ბიუროს მიერ მიღებულ ცნობებისამებრ თბილისში სახადით ავადმყოფობა დღითი-დღეზე ძლიერდება. ამ უკანასკნელ დროში არ გადის დღე, რომ ქალაქის საავადმყოფოში 20 23 სახადიანი არ მოიყვანონ. მრავალი ავადმყოფი ამ სენით თავიანთ ბინაში არიან დატოვებულნი. სიკვდილის პროცენტი დიდია. გუშინ საავადმყოფოში იმყოფებოდა 206 სახადიანი.

**რკინის გზების გაეროვნება.** გზათა მინისტრმა ბრძანება გასცა, რათა იანვრის პირველიდან საქართველოს სახელმწიფოში რკინის გზებზე ყოველგვარი საქმეები ქართულ ენაზე სწარმოებდეს. საქართველოს საზღვრებში ბლანკები და სხვა ქაღალდები ქართულად უნდა იყოს დაბეჭდილი, ხოლო საზღვარ-გარეთის—ქართულად და რუსულად.

**მოქალაქეთა შემოსავალზე გადასახადის დაწესება.** ქალაქის გამგეობას განუზრახავს ქალაქის სასარგებლოდ დააწესოს ყველა მოქალაქეთა შემოსავალზე ცალკე გადასახადი, რომელიც 1918 წელს უნდა გადაიხადონ 8 პროც., მხოლოდ მომავალ 1919 წ. ეს გადასახადი უნდა გადიდდეს 10 პროცენტამდე.

**სასწავლებლების რევიზია.** განათლების სამინისტრო შეუდგა მთავრობის საშუალო სასწავლებელთა რევიზიას.

**საყოველთაო სწავლა-განათლება.** განათლების სამინისტრო უკვე შეუდგა და სასწრაფოდ ამზადებს საყოველთაო სწავლების შემოღების გეგმას.

**სკოლების დათვალიერება.** ამ მოკლე ხანში დაბალ სასწავლებელთა მთავარი გამგე მიემგზავრება რესპუბლიკაში არსებულ სახალხო სკოლათა დასათვალიერებლად.

**სახალხო სკოლის ტიპის გამომუშავება.** ამ მოკლე ხანში შესდგება კომისია, (სამინისტროს წევრთა, პარლამენტის განათლების სექციისა და ერობათა წარმომადგენელთაგან) რომელიც შეუდგება სახალხო სკოლის ტიპის გამომუშავებას.

# სახალხო გვარდია

ას ოცდა სამი წლის წინედ სამას შეუცულ ხევსურთა სიკვდილთან ერთად კრწანისის ველზე მოკვდა საქართველოს დამოუკიდებლობაც.

ას ოცდა სამი წლის შემდგომ ორას ორმოცდა ათმა თბილისელმა მუშამ არსენალის აღებით საძირკველი ჩაუყარა იმავ საქართველოს დამოუკიდებლობას.

აი, ორი ლამაზი ამბავი, რომელთაგან ერთი ეკუთვნის ჩვენი დამოუკიდებლობის დასასრულს წარსულში და მეორე, იმავე დამოუკიდებლობის დასაწყის უკვე ჩვენს დროში.

მე მგონია, ქართული რომანტიკა და ქართული სინამდვილე ისე არას დროს არა მდგარან ახლოს ერთმანეთზე, როგორც დღეს და როგორც ამ ფაქტების დაპირისპირებით.

სამას ხევსურის რაინდული სიკვდილის გახსენება სახალხო გვარდიის დღესასწაულის დღეს—ყველაზედ უძვირფასესი „ეპდრია“ წარსულისა ჩვენი რესპუბლიკის ქუდუ სახეზე.

დღეს სახალხო გვარდიის დღეა!

ვის არ ახსოვს ამ გვარდიის სიარული თბილისის ქუჩებში? დაღვრემილი თვალები, გაუპარსავი სახე, რაღაც „კუდიანი“ სამოსი ტანზე, მხრებზე უცნაურად აწეული და რუსული „ვინტოვკა“, რაც სახთელს უფრო ჰგავდა მის ხელში, რომლითაც ფითქოს გზას იკვლევდა წყვდიადში, ვიდრე თოფს.

რასაკვირველია, ეს არ იყო გვარდია იმ სახით, რა სახითაც ჩვენ წარმოდგენილი გვქვს გვარდია იმპერატორებისა, მეფეებისა.

სიმღერებიც-კი სხვანაირი ჰქონდა მას, მოწყენილი, და მე არც ერთხელ არ გამიგონია მათგან თუნდაც ისეთი სიმღერა, როგორც სიმღერა ბერანჟესი:

— „მხრებში გასწორდით, მკერდი წინ!“

და არავინ არ იტყოდა მათზე რონტანის სიტყვებს:

— „შეხედეთ, გვანან არწივებს!“

იმიტომ, რომ ასეთი იყო მისი გარეგნობა.

მაგრამ მიუხედავად ამისა ეს იყო მართლა გვარდია, „გვარდია“ ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით, რადგანაც ის სდარაჯობდა ჩვენში რევოლუციას, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას და ისინი იყვნენ ნამდვილი არწივები, რადგანაც მათ იფრინეს მყინვართან და დარიალზე, თავის ნისკარტით შეენნენ შავ ზღვას და ეძინათ აფხაზეთის ტყეებში, სადაც იზრდება ბზა, ეს საუკეთესო ხე, რომლისგან იგივე გვარდია ჩვენის ხომალდებისთვის შემდეგში ანძებს დასთლის.

ვისგან შესდგება ეს გვარდია? ჩვენი მუშებისა და გლეხებისაგან. გუშინდელი დეპოს მუშები, ასოთ-ამწყობნი და მთელი რიგი სხვა პროფესიებისა დღეს იარაღში სხდებოდენ და გამოდიოდენ ქუჩებში და საქართველოს სოფლებში წესრიგის, თავისუფლების, დამოუკიდებლობის გასამტკიცებლად.

მე ეჭვი არა მაქვს, რომ იმ დიდ სასიცოცხლო ენერგიაში, რომელიც გამოიჩინა ჩვენმა დემოკრატიამ, უკანასკნელ ორ წელიწადში, სისხლის დამტარებელ ელემენტად ჩვენი ქვეყნის სხეულის მილებში ისევ გურულები იყვნენ. იმ ყიჟილზე, რომელიც საჭირო გახდა 29 ნოემბრის აქტის შემდეგ, პირველად გურულები გამოცხადდნენ.

მართალია, როგორც თითონ განუცხადეს მაშინ ჟორდანიას, ისინი „მოვიდნენ მენშევიკების დასაცავად“ და გარეგნულად აქედან ჯერ კიდევ შორს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვამდე. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ მენშევიზმი, ორ უკანასკნელ წლის განმავლობაში, ის კვერცხი იყო, რომელსაც მხოლოდ ერთს შეეძლო რისამე გამოჩეკა, ცხადი უნდა იყოს, რომ ძალა, რომელიც მას დაიცავდა მაშინ, დაიცავდა შემდეგში საქართველოს დამოუკიდებლობასაც. ეს ასეც მოხდა. გურია პირველი იყო, რომ მიდიოდა ჯარშიაც და გვარდიაშიც.

რითი აიხსნება ეს? ცხადია, არა მარტო მით, რასაც საქართველოში გურულების „მოწინავეობა“ ჰქვიან. მე მგონია, ეს ნაწილი ქართველი ერისა შეპყრობილია ერთგვარის აპოსტოლურის ჟინით იდეათა შეთვისების, მერე ამ იდეებით გატაცების და, რაც უფრო საინტერესოა, ამ იდეათა სხვებზე გადაცემის უნარით. ქრისტეს რომ მეცამეტე მოციქული ჰყოლოდა, ის უსათუოდ გურული იქნებოდა. და გურიამაც, როგორც ღრუბელმა ხაო, ისე შემოიკრიბა დანარჩენი სოფელი საქართველოსი. ამის შემდეგ საქართველოს უკვე ყოველი კუთხიდან მოდიოდენ თბილისში სოფლის გვარდიელები. აი, სწორედ ამათ და კიდევ თბილისის პროლეტარიატმა, ამ ყველაზედ ძვირფასმა ნაწილმა საქართველოს დემოკრატიისამ ჩაუყარეს საძირკველი სახალხო გვარდიას.

მაგრამ სახალხო გვარდია გამოკვებეს, გაზარდეს და ძვირფასი გახადეს უკვე შემდგომმა ამბებმა, რომელთა შორის საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების იდეა, რასაკვირველია, რესპუბლიკის ჯარების მოღვაწეობასთან ერთად, ყველაზე დიდი, ყველაზე ლამაზი ღვაწლია სახალხო გვარდიისა.

ოცდა ექვს მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, სახალხო გვარდია ყველაზე უფრო ძლიერი, ყველაზე რეალური ძალა იყო, რომელსაც შეეძლო ამ დიდი აქტის დაცვა, მისი განმტკიცება.

ამ დღიდან იწყობა მისი ცხოველი და დაუღალავი მოქმედება დამოუკიდებლობის გამტკიცების ნიადაგზე და თუ ნაპოლეონის გვარდია ამბობდა, რომ „იგი არ ნებდება, იგი კვდება“—ჩვენ სახალხო გვარდიას ამ დღიდან შეეძლო ეთქვა:

— მას არ სძინავს, მას სულ ღვიძავს!“

დარიალის ხეობა, ჯავის ხეობა, აჯანყება სამეგრელოში, ბორჩალო, ლეჩხუმი და სხვა კუთხეები—აი ადგილები, სადაც მიდიოდა ის, როცა საჭირო იყო.

მაგრამ „მიდიოდა“ კი?

არა! ის ადგილობრივ სჩნდებოდა და იბადებოდა იქ საცა საჭირო იყო.

მას ბადებდა ბოლშევიზმი და არეულობა, ან გარეშე მტრის საფრთხე როგორც გაზაფხულის კატაკლიზმი ბადებს ბალახს, ჭიანჭველას და მიწის ორთქლს.

და სწორედ ამ ბუნებრივ აღმოცენებაშია მთელი მიმზიდველობა სახალხო გვარდიისა.

ჩაამწყვდიეთ სახალხო გვარდია ყაზარმაში და იგი დაემსგავსება ხეს ქოთანში მოქცეულს. მას გაუხმებოდა ყველა ფესვები, რომელიც აერთებს მთელ საქართველოსთან.

ჩვენში ხშირად დამდგარა საკითხი: რეგულიარული ჯარი, თუ სახალხო გვარდია?

მაგრამ სახალხო გვარდიის სასახელოთ უნდა ითქვას რომ თვით გვარდიას ასე არასოდეს არ დაუყენებია საკითხი. და დღევანდელი ზეიმი, რომელშიც რესპუბლიკის ჯარიც მიიღებს მონაწილეობას იმის მაჩვენებელია რომ ჯარსა და გვარდიას შორის უთანხმოება არ არის.

დღეს სამხედრო მინისტრი გიორგაძე ხელს ჩამოართმევს გვარდიის ბელადს ჯუღელს და მის ამხანაგებს და ეს იქნება არა შერიგების ნიშანი, რადგანაც უნძრახობა მათში არასოდეს არ ყოფილა, არამედ ნიშანი საურთიერთო მადლობისა რესპუბლიკისა და სამშობლოს დაცვისთვის. ეს იქნება ყველაზედ ძვირფასი ძღვენი, რასაც მიიღებს სახალხო გვარდია საქართველოსაგან.

**შ. ამირეჯიბი.**

# პარტიული ცხოვრება

კვირას, 15 ქრისტეშობისთვეს, ქართულ კლუბში, დილის 11 საათზე გაიმართება ერ. დემოკ. საზოგადო კრება. მომხსენებლად არიან: გიორგი გვაზავა, ვლად. ემუხვარი, გერ. ქიქოძე, იას. ლორთქიფანიძე და სხვა.

**ქუთაისში,** კვირას 15 ქრისტეშობისთვეს გაიმართება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საზოგადო კრება. მომხსენებლად იქნებიან პარლამენტის წევრნი: კედია სპირდონ და მაჭავარიანი იოსებ.

# პროვინციის ცხოვრება

**ს. ყალბა** (ბორჩალო). გაჩნდა უცნაური სენი, რომელიც ერთნაირად ავლებს მუსრს ხალხს. ამასთანავე მძვინვარებს საქონლის ჭირი, რომელმაც დიდძალი საქონელი გაწყვიტა.

**ს: ბანძა.** (სამეგრელო) ბანძის სკოლის მორიგე გაბუნიას შემთხვევით თოფი გაუვარდა და მოჰკლა მილიციონერი დ. ძაძამია.

**რაჭა.** მამისონის უღელტეხილს მოადგა შეიარაღებული რაზმი, რომელიც გატარებას ითხოვს ალექსეევის ჯართან შესაერთებლად.

**სამხედრო გზა.** ჯვარის უღელტეხილიდან კობამდე თოვლი დასდო და მიმოსვლა შესწყდა.

**ს. რეხა.** დიდი ზეიმით აკურთხეს სოფლის ახალი ეკლესია.

# სროლა სანაინში

სანაინის სადგურის უფროსი დეპეშით ატყობინებს გზათა მინისტრს:

„ატეხილი სროლის და იმის გამო, რომ მოწინააღმდეგემ ოსმალეთის სამხედრო მატარებლის დასამტვრევად რკინის გზის ლიანდაგზე მთებიდან ქვები დააგორეს, გთხოვთ საჩქაროდ განკარგულება მოახდინოთ და გამოგზავნოთ ორთქლმავალი კონდუქტორების 2 ბრიგადით მატარებლის გამოსატანად. სადგურს ესვრიან“.

—

სანაინიდან № 1 ჯავშნიან მატარებლის უფროსი ხუნგია დეპეშით იუწყება: ქრისტეშობისთვის 9 დილის 8 საათზე რაზმი გაემგზავრა სოფ. უზუმლიარში და თან წაიღო 3 ტყვიისმფრქვეველი. როცა ჩვენები კლდის პირს მიუახლოვდნენ ჩასაფრებულ სომხებმა სროლა აუტეხეს. ჩვენებმაც ჯავშნოსნიდან არტილერიით და ტყვიისმფრქვეველებით უპასუხეს, რაც საღამოს 8 საათამდე გაგრძელდა. ჩვენებმა მთაზედ ასვლა ვერ მოახერხეს და უკან დაბრუნდნენ. სროლის ადგილზე ჩვენ დავსტოვეთ ერთი ტყვიისმფრქვეველი, რადგან მისი ჯარისკაცი მეფარიშვილი მძიმედ დაიჭრა და მეორე ხუნდაძე დაშავდა. დიდად დაზარალდა ქვეითი ჯარი.

—

**გზათა მინისტრმა სანაინიდან** შემდეგი ცნობა მიიღო: 9 ქრისტეშობისთვეს მომხდარ შეტაკების დროს ჩვენის მხრით მოკლულია 5; დაჭრილია 1, მსუბუქად დაჭრილია—6, მათ შორის პორუჩიკი შუბლაძე. უგზოუკვლოდ დაიკარგა 2.

# ჩრდილო კავკასია

**„შარიათის“ რაზმი და ბოლშევიკები**

მინერალურ წყლებზე ბოლშევიკების ჯარში იბრძვის ნალჩიკის მიდამოების მთიელ ყაბარდოელების რაზმი. ეს რაზმი სახელწოდებულია „შარიათის“ რაზმად. რაზმს უფროსად ჰყავს ვინმე მოლა, რომელიც ამავე დროს წევრია ჩრდილოეთ კავკასიის „სოციალისტური“ რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოსი. ოფიციალურ ქაღალდებში მოლა „ამხანაგად“ იწოდება. რაზმს მწვანე ბაირაღი აქვს.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

**ზავის მოლოდინში.**

**კარნაფონი.** 8 ქრისტეშ. გაზ. „ტაიმსის“ პარიზელ კორესპონდენტის სიტყვით, ზავის ჩამოგდება მოსალოდნელია ჩქარი ეტაპით მოხდეს: პირველი კონფერენცია, რომლის მუშაობაც ქრისტეშ. ბოლოს დასრულდება; მარტში ან აპრილში შეთანხმების სახელმწიფოთა საერთო საზავო კონფერენცია და ბოლოს, როგორც შეთანხმების, ისე მოწინააღმდეგე სახელმწიფოების საერთო კონგრესი.

**ბონარ ლოუ გერმანიის შესახებ.**

**ინგლისური პრესა.** 9 ქრისტეშ. ბონარ ლოუმ სთქვა, რომ მოკავშირეთა კომისიამ უნდა განიხილოს და გამოარკვიოს, თუ რა თანხა უნდა გადაჰხდეს გერმანიას, რომ მოკავშირენი დაკმაყოფილებულნი იყვნენ. მან განაცხადა, რომ დატყვევებული გერმანელი ზავის ჩამოგდებისას სამშობლოში უნდა გაბგზავნონ და საერთოდ გერმანელები ინგლისში არ უნდა შეუშვან.

**ამერიკის ჯარი კობლენცში.**

ამერიკის ჯარს საჩქაროდ ჰგზავნიან კობლენცში, სადაც ბოლშევიზმი ძლიერდება.

**გერმანიის კრონპრინცის განცხადება**

გერმანიის კრონპრინცმა მიერინგენში ჟურნალისტებთან საუბარის დროს განაცხადა, რომ მას არაფერი არ გამოუცხადებია და არავითარ საბუთზე ხელი არ მოუწერია მაგრამ თუ გერმანიის მთავრობას რესპუბლიკანურ წესწყობილების შემოღება გადაუწყვეტია, ის მზადაა გერმანიაში დაბრუნდეს როგორც უბრალო მოქალაქე. კრონპრინცმა პირდაპირ განაცხადა, რომ ის თაყვანს სცემს ვილსონს, რომელიც როგორც კრონპრინცი ღრმადაა დარწმუნებული, გერმანიას სამართლიან ზავს მისცემს. 70 მილიონიან ერის დამცირება მხოლოდ შურისძიების გრძნობას გამოიწვევს. შეუძლებელია ისეთი ერის გათელვა როგორც გერმანია.

**ინგლისური ჯარი**

ინგლისურ ცნობის თანახმად ინგლისის ჯარმა ჰოდესბერგსა და კიოლნის შუა ეინს მიაღწია.

**ბერლინის მდგომარეობა**

ბერლინიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ამას წინად მომხდარ უწესოების დროს მემარცხენეებმა თავის საუკეთესო ორგანიზატორებს მთელი სახელმწიფოდან ბერლინში მოუყარეს თავი. მაგრამ მთავრობას მზადა ყავს 10.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი რესპუბლიკანური გვარდია. მთავარ უბნებში ამ ჟამად ჯარი სდგას. უკანასკნელ ცნობით კვირას სიწყნარე იყო.

**კ ა ი ზ ე რ ი**

ამსტერდამის გაზ. „ახალი ამბები“ კაიზერის შესახებ მნიშვნელოვანად სთვლის. გაზეთი ამბობს, რომ ჰოლანდიის მთავრობამ უნდა გადასჭრას ეს საკითხი თორემ ჰოლანდია შეიძლება ცუდს მდგომარეობაში ჩავარდეს. გაზეთი იმ აზრისაა, რომ კაიზერი, ბელგიაში და საფრანგეთში მისი ჯარის მოქმედების და წყალქვეშა და საჰაერო ბრძოლისთვის პასუხისმგებელია. გაზეთი ფიქრობს, რომ ჰოლანდიის არცერთი მთავრობა, რომელსაც გონება აქვს და წინდახედვა შეუძლია, არ შექმნის ისეთ იდგომარეობას, რომ ჰოლანდია ომში გახვიოს და სურსათის კრიზისი გამოიწვიოს. და ყველაფერი ეს კაიზერის გულისთვის ჰქმნას. შემდეგ გაზეთი ამბობს: მეორე მიზეზი, რომ კაიზერმა საჩქაროდ უნდა დასტოვოს ჰოლანდია ის არის, რომ მრავალი გერმანელი ჯერ კიდევ არ კარგავს საიმპერატორო მთავრობის აღდგენის იმედს და არ უნდა გაგვაკვირვოს იმ მდგომარეობამ, რომ გერმანელთა კავშირი თავის იმპერატორთან, ჰოლანდიაში პოლიტიკურ შეთქმულობისთვის ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის.

**ბრესტ-ლიტოვსკი.**

**გერმანული პრესა.** ქრისტეშ. პოლონეთის პრესის ცნობა, რომ ბრესტ-ლიტოვსკი პოლონელებმა დაიჭირეს, სიმართლე არ არის.

**მოკავშირენი და რუსეთის ბოლშევიზმი.**

„დეუჩე-ალგემაინე ცეიტუნგი“ საქვეყნო ბოლშევიზმთან ბრძოლის შესახებ სწერს: ერთი მხრით მოკავშირე სახელმწიფოების და მეორეს მხრით ამერიკის ყოველგვარ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთში ისინი შეთანხმებულ არიან, რომ საჭიროა ბრძოლა რუსეთის ბოლშევიზმთან, რომელიც ამზადებს და იმუქრება საქვეყნო რევოლუციით. მას შემდეგ რაც შეერთებულმა შტატებმა იაპონიასთან ერთად აღმოსავლეთის მხრით საბჭოთა რესპუბლიკაზე გალაშქრება გადასწყვიტა, გამოირკვა, რომ სწადიათ დაუნდობლად შეებრძოლონ ბოლშევიზმს. ცენტრალურ სახელმწიფოების მიერ ბალკანეთის დაცლის, ინგლისის ესკადრისთვის ბალტიის ზღვის გახსნის შემდეგ შესაძლებელი გახდა რუსეთის ალყის შემორტყმა ჩრდილოეთით და სამხრეთით. სწორედ ისე, როგორც ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შეკვრის შემდეგ სამოქალაქო ომი იყო უკრაინაში და რუსეთის მოსაზღვრე ოლქებში წესიერება იყო დაცული მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივ მთავრობასთან თანხმობით შევიდა იქ გერმანიის ჯარი, ისე ახლაც შეთანხმების სახელმწიფოებმა გერმანიის მაგალითს უნდა მიბაძონ, რომ რუსეთი საბოლოოდ არ დაღუპოს ანარქიამ. ეს იყო გერმანის მსხვერპლი. რომლითაც ...(ხაუგებარია)... მან მატერიალური ზარილი ნახა.

**ბერლინში.**

ბერლინის უკანასკნელი ამბების შესახებ დამატებითი ცნობები: საღამოს დემონსტრანტები ქალაქის ცენტრისაკენ გაემართნენ. რეიხს-კანცლერის სახლის წინ ახალი დემონსტრაციები გაიმართა მთავრობის საწინააღმდეგოდ.

სახალხო კომისარმა უარტმა, რომელიც დამოუკიდებელ ს.-დ. ეკუთვნის, დემონსტრანტების დაჟინებითი მოთხოვნით სიტყვა სთქვა: „მე მინდა მხოლოდ ერთხელ შევხვდე ლიბკნეხტს ბერლინის ერთ-ერთ სასახლეში, რომ უთხრა მას ის რაცა მსურს, და მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ჯარისკაცი მის მხარეზე არ დარჩება, რომ მე შევედი მთავრობაში და რომ მე დავუშვი მთავრობა შემდგარიყო პარიტეტულ ნიადაგზე ყველა პარტიის გარეშე ეს მხოლოდ იმიტომ, რომ 10 გიორგ. ბუშეს ცირკში არა შეიდემანი, არამედ კარლ ლიბკნეხტი, მოვიდა ჩემთან და მითხრა: „ეს ასე უნდა იყოს, რომ რევოლიუცია საფრთხეში არ ჩავარდეს“. ყვირილის და არეულობის გამო არ აცალეს ორატორს ლაპარაკი. ბრბო სცდილობდა რეიხს-კანცლერის სასახლის დაჭერას მაგრამ გონიერ ელემენტის ჩაგონებით შეჩერდნენ.

**წითელი ასპარეზი**

**მოსკოვი.** 10 ქრ. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. წითელი ასპარეზი. **ნარვა.** 9 ქრ. ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიჭირეთ სადგური, ამგვარად ჩუდის ტბისკენ მიმავალი გზატკეცილი ჩვენს ხელშია.

**ნიკ. ნიკოლოზის ძე თეთრგვ. სარდალი.**

**ვორონეჟი.** 8 ქრისტ. ცნობების თანახმად სამხრეთ ასპარეზის ყაზახთა და თეთრგვარდიელთა მთავარსარდლად დიდი მთავარი ნიკ. ნიკოლოზის ძე ყოფილა. მისი მთავარი ბანაკი კონსტანტინოვკაშია. ხმებია, რომ მოკლე დროში მოელიან დენიკინის ჯარის ნაწილს.

**დონზე და ყუბანში.**

**ასტრახანი.** 7 ქრისტ. დონზე და ყუბანში მომქმედ ჩვენს რაზმს დარჩა დიდძალი პური, რომლის განადგურება თეთრ გვარდიელებმა ვერ მოასწრეს.

**ტოროშინოს დაწვა.**

**პსკოვი.** 9 ქრისტ. ღამით დაიწვა სადგური ტოროშინო. ნარვასთან რკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის გზა აღდგენილია. დღეს პირველი საფოსტო მატარებელი მოვიდა.

**პეტლიურას ჯარი.**

**ხარკოვი.** 8 ქრისტ. პეტლიურას ჯარმა აიღო დაბა შოსტკა და სად. პლისკის ტყვია წამლის ქარხანას მიაღწია. გეტმანის ჯარი კრუტაში სანგრებს სთხრის. პეტლიურას ჯარის მიერ დაპყრობილ ადგილებში ყველგან შემოღებულია სამხედრო საველე ხასამართლო, რომელიც შესდგება 3 მამასახლისისაგან და 2 ყაზახისგან. პეტლიურას მომხრეებმა პირველ ხანებში აკრძალეს ყოველგვარ კომიტეტის მოწყობა. მუშები ერთი დღით გაიფიცნენ; რკინის გზის მოსამსახურენი გაფიცვით დაემუქრნენ. დაიწყო საქარხნო კომიტეტების შედგენა. პეტლიურას მომხრეების საწინააღმდეგოთ ბოლშევიკები სოციალისტურ რაზმებს ადგენენ. პეტლიურას მომხრეებმა ყველა სადგურზე გააკრეს განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ყველას, ვინც ავრცელებს ბოლშევიკურ პროკლამაციებს და დირექტორიას წინააღმდეგ მოუწოდებს ხალხს, სიკვდილით დაისჯება.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

### კავკავში.

მოსულთა ცნობით კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლ კომისიამ ქ. კავკავიდან გასვლა აღკრძალა. წასასვლელ მოწმობას არავის აძლევენ. ამ ჟამად ქ. კავკავში 40.000 სულია.

**წითელ ტერორის ახალი მსხვერპლი.** დონის სააგენტოს ცნობის ბიურო იუწყება, რომ პეტროგრადში საბჭოთა მთავრობის დადგენილებით დახვრიტეს ხან-ნახიჩევანსკი, ღენ. შამილი, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ორი ძმა და ორიც ადგილობრივი ცნობილი მებირჟეები მანუსი და ჟდანოვი.

### პეტროგრადში.

**სანოვაგის სიძვირე.**

პეტროგრადში სარჩენად საჭიროა თვეში არა ნაკლები 5000 მანეთისა. სანოვაგე მეტად გაძვირდა. მაგ. შავი ფქვილი გირვანქა ფასობს 18 მანეთად. შაქარი 40 მ. ცხენის ხორცი 12.

**ნავთი და კალოშები რეცეპტებით.**

ნავთი სანთლით საძებარია: და მხოლოდ ავადმყოფებს აძლევენ ექიმების რეცეპტებით. კალოშებსაც რეცეპტებით იძლევიან.

**ტრამვაი და მეეტლეები.**

ტრამვაის ვაგონების სიმცირე აუტანელია. მუშაობა სულ არ არის. ბილეთი ღირს 1 მანეთი, მეეტლეები სულ არ არიან. რადგან ცხენების საკვები სულ არ იშოვნება. ეტლით მგზავრობა 120—150 მ. ღირს.

**სავაჭროთა სოციალიზაცია.**

მოხდენილია კერძო სავაჭროების სოციალიზაცია. მუშაობენ მხოლოდ ქალაქის დუქნები ამ სავაჭროების მოსამსახურეთ დიდი ჯამაგირები ეძლევათ.

**საერთო მდგომარეობა.**

ქალაქი გაყინულია. სიცოცხლე სულ არ ეტყობა. ქუჩებში ხალხი აღარ დადის. ნისლი სიმშილი და სიბნელე ქალაქს ფონტასმაგორიად ჰხდიან.

# საქართველოს პარლამენტში

## 10 ქრისტეშობ. სხდომა

**თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი.**

### ძვირფას კულტურულ მამულებში პროდუქტების რეკვიზიცია

მიწად მოქმედების მინისტრის მიერ წარმოდგენილია კანონპროექტი შესახებ ძვირფას კულტურულ მამულებში პროდუქტების რეკვიზიციისა. ეს კანონპროექტი წარმოდგენილი იყო წარსულ სხდომისათვის, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარის თხოვნით მოხსნილ იქმნა დღის წესრიგიდან. აგრარული კომისიის სახელით კანონპროექტს დ. ონიაშვილი (ს.-დ.) იცავს.

**დ. ონიაშვილი**

ამიერ კავკასიის მიერ 12 მარტს მიღებული კანონის ძალით წართმეულ მიწებთან ერთად, მიწად მოქმედების რწმუნებულებს უფლება ეძლევათ მეპატრონეთ ჩამოართვან მეურნეობისათვის საჭირო ინვენტარიც. ამ ჟამად წარმოდგენილი კანონპროექტი კი გაგრძელებაა ამ კანონისა.

პროდუქტი არის განუყოფელი ნაწილი ინვენტარისა და აუცილებლად საჭიროა მეურნეობის განვითარებისათვის. მაგრამ იგი ან არარის ინვენტარი, ან არის და მის ჩამორთმევისათვის არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ 17 მარტის კანონით, რომ საჭიროა განსაკუთრებული კანონის გამოცემა. დღეს წარმოდგენილი კანონპროექტით პროდუქტების რეკვიზიცია ხდება იმავე წესით, როგორიც ინვენტარის.

არის ისეთი პროდუქტები, რომელნიც პირველი შეხედვით, თითქოს საჭირონი არ არიან მეურნეობის განვითარებისათვის. მაგალითად ჩაი. მაგრამ არსებობს მთელი მეცნიერება, როგორც აგრონომიული ეკონომიკა, რომელიც საჭიროდ სცნობს რაც შეიძლება მეტი პროდუქტი დარჩეს მამულში, რომ მეურნეობა არ შეფერხდეს.

აი ამ მიზნისათვის არის მიმართული ეს კანონპროექტი პროდუქტების რეკვიზიციისა და ეს პროდუქტები იმავე წესით უნდა იქნეს ჩამორთმეული, როგორითაც ინვენტარი ჩამოვართვით.

და თუ ჩამოვართვით მიწა, ჩამოვართვით ინვენტარი, რა მოსაზრების ძალით უნდა დავსტოვოთ პროდუქტები, რომელნიც ისევე საჭიროა მეურნეობისათვის, როგორც უკვე ჩამორთმეული ინვენტარი.

თვით კანონპროექტი ესეთია:

1. მიწად-მოქმედების მინისტრს უფლება ეძლევა ჩამორთმეულ მამულებში მოახდინოს რეკვიზიცია სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო-სამეურნეო პროდუქტების იმ ნაწილის, რომელიც მინისტრის მიერ დანიშნულ სპეციალურ კომისიისაგან ცნობილი იქნება მამულისთვის კულტურული ღირებულების შესანარჩუნებლად და მისი მეურნეობის სათანადო საწარმოებლად, ყველა იმ სამეურნეო დარგების დამატებით, რომელიც ამ მამულებზეა მოთავსებული.

2. ჩამორთმეულ პროდუქტების საფასურის გამორკვევა, პატრონის დასაკმაყოფილებლად, მოხდება იმ წესით, რომელიც მიღებულია ამიერკავკასიის სეიმის 1917 წლის 17 მარტის კანონით სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიციის შესახებ.

**ი. ნუცუბიძე** (სოც. რევ.) სასტიკად ილაშქრებს კანონპროექტის მეორე მუხლის წინააღმდეგ და ამბობს, რომ რევოლუციის ხანაში შეუძლებელია ჩამოსართმევი ქონების გამოსყიდვა და როდესაც ქვეყნიერება სოციალური რევოლუციისაგან ირყევა, საქართველოში მხოლოდ სოციალურ რეფორმების განხორციელებას ცდილობენ, ხოლო რეფორმებით კი შეუძლებელია მიზნის მიღწევა.

### გიორგი გვაზავას სიტყვა

ბატონებო! ბევრს ავიწყდება, რომ ჩვენ გვაქვს ძირითადი კანონები, რომ თითოეული ჩვენთაგანი ვალდებულია დაუქვემდებაროს თავისი მოქმედება ამ ძირითად კანონს. ჩვენი ძირითადი კანონი გამოცხადებულ იყო 26 მაისს, იმავე დღეს და იმავე აქტში, როდესაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს გახლავსთ დეკლარაცია იმ ძირითადი პრინციპებისა, რომელზედაც აგებულ უნდა იქმნას საქართველოს რესპუბლიკა. მეორე მუხლში აქ ნათქვამია, რომ საქართველო არის დემოკრატიული (და არა სოციალისტური) რესპუბლიკა; მეხუთე მუხლში გამოცხადებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებანი ყველასათვის. მე კარგად მახსოვს ეს მუხლები, რადგანაც პროექტი ამ დეკლარაციისა იყო ჩემ მიერ შედგენილი.

თუ დღევანდელი კანონპროექტი ეწინააღმდეგება ამ ძირითად კანონებს, უეჭველად იგი მიუღებელია. როგორც მოგეხსენებათ, ყოველი დემოკრატიული სახელმწიფო აშენებულია ორს პრინციპზე,—ეს არის პრინციპი თავისუფლებისა და პრინციპი კერძო საკუთრებისა. შემოტანილი კანონპროექტი კი ჰხღუდავს მცხოვრებთა სამოქალაქო თავისუფლებას და არღვევს კერძო საკუთრების პრინციპს. ჩვენ ვერ დავარღვევთ ჩვენს ძირითად კანონებს.

გადავიდეთ თვითონ კანონპროექტზე. ჯერ ერთი ტერმინი „რეკვიზიცია“ სრულებით უადგილოა. რეკვიზიცია ჰხდება მხოლოდ ომის დროს, რასაკვირველია ეძლევა უფლება მოახდინოს რეკვიზიცია იმ ნივთებისა, რომელიც საჭიროა ჯარისთვის. ეხლა კი ომი არ არის, საქართველო ომის ასპარეზად არ არის გადაქცეული, მაშასადამე, რეკვიზიციას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

კანონპროექტით უნდა მოხდეს რეკვიზიცია პროდუქტებისა.

პროდუქტები არის დამუშავებული მასალა ან საგანი ვაჭრობის და აღებმიცემობისა. რეკვიზიცია ამისთანა საგნებისა ჰხღუდავს ვაჭრობის და მრეწველობის თავისუფლებას და ამით დიდის საფრთხით ემუქრება ჩვენს ცხოვრების ეკონომიურ განვითარებას. ამბობენ, რომ პროდუქტების რეკვიზიცია დაკავშირებულია და შესისხლხორცებული მიწის რეფორმასთან. არც ეს არ არის დამტკიცებული.

მიწის რეფორმა ჩვენ მივიღეთ; მიწის ჩამორთმევის წინააღმდეგ ჩვენ არასოდეს არ ვიყავით; ჩვენ ვიყავით წინააღმდეგ მხოლოდ იმ წესის გატარებისა, რომელიც მიღებულ იყო და არის თვით მიწის ჩამორთმევისა. მაგრამ რა კავშირია მიწათმოქმედების და პროდუქტების შორის? მართლა აუცილებელია პროდუქტების რეკვიზიცია მიწის მოქმედებისათვის? არა, ეს საჭირო სრულებით არ არის.

ვაშლი, რომელიც მოწყდა ხიდან, მატყლი, რომელიც ჩამოშორდა ცხვარსა, შამპანური, რომელიც გადაკეთდა ყურძნისაგან—სულ ეს ისეთი საგნებია, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მიწასთან და მიწათმოქმედებასთან.

ეს დამზადებული საგანია არა მიწის დასამუშავებლად და მისთვის კულტურული ღირებულების შესანარჩუნებლად, არამედ ბაზარში გასატანად და იქ ვაჭრობის და აღებ-მიცემობის გასაჩაღებლად. კანონპროექტი სრულებით ჰშორდება სასოფლო მეურნეობას და იჭრება მრეწველობის და ვაჭრობის სფეროში. ეს არის პირველი ნაბიჯი სოციალისტური კანონმდებლობისა და რა სიკეთე მოუტანა ამისთანა კანონმდებლობამ თუნდაც რუსეთს, ეს თქვენ ძალიან კარგად მოგეხსენებათ. რად უნდა ჩავიდინოთ ის, რაც არსად დემოკრატიულ სახელმწიფოში არა ჰხდება ხოლმე?

ჩვენი რესპუბლიკა უნდა იყოს ისე მოწყობილი, რომ ყველა მოქალაქეს შეეძლოს იქ თავისუფალი შრომა და მუშაობა, უნდა ყველამ იგრძნოს, რომ ჩვენში შეიძლება კაპიტალმა ფეხი მოიდგას და განვითარდეს. ნუ გავიწყდებათ, რომ უცხო ქვეყნები შემოგვყურებენ და ჩვენი საერთაშორისო ცნობაც დამოკიდებულია მაზე, თუ რამოდენად იქნება ჩვენში განმტკიცებული უფლება და თავისუფლება.

მართლა, ზოგჯერ სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს კომპრომისსებს და კერძო საკუთრება არ არის ყოველთვის და მუდამ ხელუხლებელი. მაგრამ ხელუხლებლობა არის საზოგადო პრინციპი, ხელის შეხება კი მხოლოდ გამონაკლისი. ამიტომ ზოგჯერ ჰხდება ხოლმე ექსპროპრიაცია უძრავი ქონებისა. ამიტომ ეს შეეხება მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევას და განსაზღვრულ მამულს. აგრე უნდა მოვქცეულიყავით ეხლაც.

თუ მართლა აუცილებლად საჭიროა სახელმწიფოსათვის რომელიმე პროდუქტი, უნდა დასახელებულ იყოს ეს პროდუქტი, გამორკვეული მისი რაოდენობა, ღირებულება და მნიშვნელობა, მისი საჭიროება და სხვა. მაშინ პარლამენტს შეეძლო კონკრეტიულად განეხილა წინადადება და გამოეტანა თავისი დასკვნა. ეხლა კი საზოგადო პრინციპია—ვაჭრობა მრეწველობის თავისუფლება და ამავე დროს უნდა მივიღოთ პრინციპი რეკვიზიციისა აგრეთვე როგორც საზოგადო პრინციპი.

რა არის ეგა, თუ არა არევ-დარევა ჩვენი ეკონომიკისა? რა სურს ამით მთავრობას? მისი სურვილია გადააყენოს სოფლელი ვაჭარ-მრეწველი, ჩაიგდოს მისი პროდუქტები: „შენ ნუ ივაჭრებ, მე ვივაჭრებო“.

ნუ თუ ეს არ არის ძალდატანება და აქ დაცულია რაიმე უფლება? ამისთანა ტაციობის პოლიტიკას პარლამენტი მხარ ვერ დაუჭერს. სახელმწიფო, რომელიც ცდება ხოლმე უფლებრივ ნიადაგს, იგი არ არის სახელმწიფო.

მე გთხოვთ უარჰყოთ ეს კანონპროექტი, როგორც შეუფერებელი ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონებთან და მავნე ჩვენი ეკონომიური განვითარებისათვის.

N

# ახალციხეში

## ქრისტეშობისთვის 4

მზე დასავლეთისკენ იხრებოდა როდესაც ქართული ჯარი ახალციხის ხიდს გადავიდა. აქ თაღია გაკეთებული ზედ-წარწერით: „მშვიდობა თქვენ მოსვლას“, მხოლოდ რუსულად რაც თვალსაც და ბუნებასაც ეჩოთირება. ქალაქი მორთულია ბაირაღებით, ალაგ-ალაგ მოსჩანს ოსმალური დროშები, უფრო დუქნების წინ. ხალხი ღიმილით ჰხვდება. არიან დაღვრემილი სახეებიც. ქალაქი ჯერ-ჯერობით ხელუხლებელია... ადგილობრივ ქართველობას თადარიგი გაუწევია, წინდაწინ ბინები დაუმზადებია ჯარისათვის და ქართულ დაწესებულებებისათვის. ჩქარის ნაბიჯით მიდიმოდიან ქუჩებში და ესაუბრებიან ხან ერთ სარდალს და ხან მეორეს. მივაღწიეთ ყაზარმებს. ლამაზი შთაბეჭდილება ჰქრება. შენობების ფანჯრები განადგურებულია, დალეწილი ავეჯეულება ქუჩებში ჰყრია, ძვირფასი წიგნები და სხვა ნივთები ერთმანეთშია არეული. გულმოსულ ბრბოს რომელიც წუხელ წასულა შუშებზე და ავეჯეულობაზე უყრია ჯავრი. რამდენიმე ადგილას დამწვარ თოფების ლულებს შეჰხვდები. ყუმბარები წყალში გადაუყრიათ. ღვთის მადლით მეტის ზარალის მიყენება ვერ შეუძლიათ. მაგრამ ამის მნახველსაც ჯავრი მოსდის: „ჰაი ერთი კი მოგვესწრო ერთი გამოვეშვით და მე ვიცი როგორც დასწავლდნენ“,—ამბობს პირტიტველა ჯარისკაცი. ვეკითხები: „გწყინს განა“? „მწყინს აბა არ მეწყინება, როდესაც ჩვენს ქალაქს ამტვრევენ და ავერანებენო“!.. მადლობა ღმერთს!..

რაკი დილამდე აღარ შემეძლო საქმიანობა, წაველი ქალაქს. დასათვალიერებლად, ყოველგან თურქული წარწერებია, სახლის თაღები, ქუჩის სახელები თუ სავაჭროების წარწერანი თურქულია. ყველას ყურადღებით ვათვალიერებ. დაღალული ახალგაზრდა მორბის ქვემოდან. დამინახა შესდგა. მეკითხება დანტროულ რუსულით: „ბატონო, ვ—ძე ხომ არ გინახავთ?“—სომეხია. შევეკითხე რად უნდოდა. „უნდა მოურიგდე ჯარისთვის პური და სურსათი მივაწოდო.“ გავასწავლე. როგორც დაუკვირდი ეს ხალხი თითქოს წინდაწინ დამზადებულიყოსო ისე დახვდათ და მაშინვე კავშირი ვაჭრული დაიჭირა. ამ დროს ჩვენი ქართველობა-კი მხოლოდ გრძნობებს ეტანა და სიხარულისგან ყოველივე დაევიწყებინა. გამოველაპარაკე რამდენიმეს, როგორ სცხოვრობდნენ ჩვენამდე. ეხლა ამოვისუნთქეთ თავისუფლად. სახლში, რომ შევდიოდით უკან ვიხედებოდით, ხომ არავინ მოგვდევსო“. მეტისმეტ უჯიათს ამბობდნენ თურქების ბატონობასაც და იმ „მთავრობასაც“ რომელიც თურქების წასვლის შემდეგ მოევლინა ახალციხე-ახალქალაქის მაზრებს. მათ სამინისტროებიც-კი მოეწყოთ ვითომ და გამოეცხადებინათ თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ამ საქმეს მეთაურობდენ ადგილობრივი და მოსული სომხები მაჰმადიან ბეგებთან ერთად. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ არა გზით არ შეეშვათ ამ მაზრებში ქართველი ლაშქარი და მიზნის განსახორციელებლად მობილიზაციაც გამოეცხადებინათ 2—3 გიორგობისთვეს. მიჰყავდათ 45 წლამდე.

ადგილობრივი მცხოვრებნი საშინელი წინააღმდეგნი ყოფილან, მაგრამ რას იზამდენ, ბეგების მათრახების სიმწვავის გამო. „რას ვიზამდით ეფენდი,—მეუბნება მოხუცი მაჰმადიანი—ჩვენი ბეგები და ერმენებიც ყელში დანას გვაჭერდენ. ჩვენც ცხვრებივით ვიყავით“. ეჭვის თვალით შევხედე და კიდევ დავეკითხე—იქნებ თქვენ გინდოდათ თორემ ერთი და ორი ბეგი ძალას როგორ დაგატანდა.—„არა, არა ეფენდი ალახის მადლს ჩვენ არ გვინდოდა.“ ასე სხვის მოწყობილმა პროვოკაციამ და გაიძვერობამ კინაღამ ძმათა სისხლი არ დააყენა. შემდეგისთვის მაინც უნდა მოვიქცეთ და თადარიგიანად და ამგვარ გაიძვერა ხალხისაგან გავწმინდოთ მთელი მაზრები, თორემ ამგვარ გაიძვერობა შეიძლება კიდევ განმეორდეს და მოხდება ცუდი ამბები ძმათა-შორის.

ლაშქრის სარდლის ბინისკენ ჩავიარე. აგერ რამდენიმე ჯარისკაცს მოჰყავს დატვირთული ურმები. ხორბალია. „ესენი ქალაქ გარედ დავიჭირეთ, ახალქალაქის ბაზრიდან პური მოჰქონდათ და რო გაუგიათ ქართველები შემოვიდნენო, უკან დაბრუნებულან“. პატრონები მაჰმადიანები არიან. „არა, ეფენდი“... წამოილაპარაკა მხოლოდ ერთმა მათგანმა. პური ჩამოართვეს, მხოლოდ გაუსწორდენ კი: „თუ ეხლა არ მივეცით ფული, შემდეგში არ შემოიტანენო“... ყოველ ნაბიჯში, ყოველ სიტყვაში ეტყობა ჯარსაც და მის სარდლებსაც, რომ აქ შემოსულან ძმური კავშირისათვის და ყველას მშვიდობას ჰპირდებიან...

„ბ-ნო, შენი ჭირიმე,—წამოილაპარაკა ერთმა მოხუცმა ჯავახელმა, ზველელია, წინად მინახავს, პურმარილიანი, ჭარმაგი და გამჭრიახი კაცია, გამეხარდა მისი დანახვა. „ბატონო, შენი ჭირიმე, ზველელები დიდ მადლობასა გწირავთ, რომ შემობრძანდით ჩვენს საწყალ ჯავახეთში და ვითხოვთ ეხლა რო სამართალი მოგვცეთ. რაც აქამდინ მოჰხდა, მოჰხდა, მაგრამ გუშინ როდესაც გავიგეთ მობრძანდებოდით, ყველამ დავაპირეთ წამოსვლა, წინ ჩემი ძმისწული წამოვიდა. დაჰხვდა გზაში დუშმანი, მიგიხარიანო და ეხლაც გაიხარეს, უთქვამს ეს და მიუცია მკერდში ტყვია. დაგვიფარეთ ეხლა მაინც თქვენი კვნესა მე“...

არ მესიამოვნა ეს ამბავი. ვაი თუ ეხლა წავიდეს შური და მტრობა ორ ძმათა შორის და ვაი თუ ჯავრის ამოყრა დაიწყონ ჩუმჩუმად. ნეტამც კი ეს ასე არ მოხდებოდეს მათ შორის, ვინც საუკუნოებით ტკბილად ცხოვრობდა.

აგერ დაჭერილი მაჰმადიანები მოჰყავთ. მცხოვრებნი მოსდევენ უკან. „ეგ იყო სისხლს რომ გვწოვდა, მაგის შიშით ქუჩაში ვერ გავვლილო“... შეშინიან, რომ ამგვარ წამოძახილებმა ჯარისკაცთა გული არ ააზვიადოს და თვით არ დაიწყოს გასამართლება, მაგრამ ჩემდა სასიხარულოდ ასე არ ხდება.

შეუსვენებლივ მიდის მუშაობა, დაჩქარებით აწყობენ საჭირო დაწესებულებებს. ისე რომ მეორე დღეს, ე. ი. ქრისტეშობისთვის 5 ის დილის ცხრა საათისათვის შეძლება მქონდა საკამენდატოდან ამელო გასაშვები ქაღალდი კამენდანტის, საქმის მწარმოებლის ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული. ქუჩაში ყველგან ჩვენი დარაჯები დგანან. საუკეთესო წესიერება არ დარღვეულა. მხოლოდ ერთს არა სასიამოვნო მოვლენას მივაქციე ყურადღება. დუქნებში მრავლად იყიდებოდა შაქარი სასმელები, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს უსიამოვნო ამბავი.

შუა დღე იყო, როდესაც მე და ჩემი მეგობარი ჯარისკაცი ცხენებით ქალაქიდან გამოვედით სადაც შეგვხდა ეროვნულ დროშით მორთული ავტომობილი. ეს გენერალი მაყაშვილი მიბძანდებოდა... გზაში ვხვდებიან სამშობლოსკენ მიმავალ ლტოლვილები, მათ განაწამებ სახეზე სიხარულის ღიმი ჰკრთის. მკტარია მათი გამომეტყველება. აგერ 60 ურმამდე დატვირთული ძველი კონკებით. ერკოტელები არიან. რა ტანჯული სახეები, დაბრანძულები, საბრალონი, დაავათმყოფებულები, მაგრამ მაინც ამაყად და მტკიცე ნაბიჯით მიეშურებიან გაციებულ კერისაკენ, რათა ისევ აანთონ და გაათბონ, უნდა მიჰხედონ გაპარტახებულ არეს და გააჩაღონ ახალი განახლებული სიცოცხლე ისე, რომ კვლავ აღარ მოუხდეთ კერაზე წყლის დასხმა.

მიდიან, მიდიან გაუთავებლად ლტოლვილი მესხეთ ჯავახელნი, სალამი მათ დაბრუნებას, სალამი და გამარჯვება ტანჯულ ძმებს.

მიჰხედეთ, მიჰხედეთ ძმანო თქვენს არეს—და კვლავ გააჩირაღდნეთ თქვენი მადლიანი კერა.

**ნ. კეცხოველი.**

# ჰაზენკამფის მოხსენებისათვის

ამ მოხსენების ავტორი, ცნობილი გერმანელი ფინანსისტი ჰაზენკამფი, საემისიო საბანკო პოლიტიკის თვალსაჩინო მცოდნედ ითვლება. მას საქართველოს საემისიო ბანკის დაარსების შესახებაც აქვს მოხსენება, მაგრამ ამ ორ მოხსენებათა შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მას საქართველოს საემისიო ბანკის დასაარსებლად საკმარისად მიაჩნია ძირითადი თანხად 10 მილიონი მანეთი. და უფრო ვრცლად აქვს დასაბუთებული საქართველოსათვის სახელმწიფო ბანკის უპირატესობა. „როგორც მე გამიგონია, ამბობს ჰაზენკამფი, საქართველოს მთავრობას განზრახვა აქვს ჩამორთმეულ მამულების გაყიდვით რუსეთის ნოტების დაგროვება, მათი დევალვაცია და ახალ ფულის სისტემის შემოღება. სწორედ ეს გარემოება ზედმეტ საბუთს იძლევა სახელმწიფო საემისიო ბანკის დაარსებისათვის. მასთან ერთად ჰაზენკამფის აზრით საქართველოში საემისიო ბანკის დასაარსებლად მზამზარეული აპარატი არსებობს კიდეც. ეს რუსეთის სახელმწიფო ბანკის ფილიალური განყოფილება; გარდა ამისა კი საკრედიტო ორგანიზაციები საქართველოში ვერ არის მტკიცე ნიადაგზე დაყენებული და ამიტომ აქ სახელმწიფოს არ შეუძლია საემისიო პოლიტიკა კერძო ინიციატივას დაუმორჩილოს.

სამწუხაროდ ბ-ნი ჰაზენკამფი სრულებით არ ეხება იმ საკითხს, რომელსაც ჩვენი ფინანსიურ პოლიტიკისათვის გადამწყვეტი [illegible]—სახელდობრ, თუ როგორ უნდა მოხდეს არსებულ ფულის სისტემიდან სხვა სისტემაზე გადასვლა. სწორედ ამ საკითხისკენ უნდა იყოს უმთავრესად ჩვენი ფინანსიურ სფეროების ყურადღება მიპყრობილი და მისი სათანადო გადაწყვეტის შემდეგ შეიძლება საემისიო ბანკის დაარსების შესახებ სერიოზულად ფიქრი.

ყოველ შემთხვევაში ჰაზენკამფის მოხსენება საყურადღებო მასალას შეადგენს ჩვენს ცხოვრების ერთ მთავარ საკითხისთვის და ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ მისი ქართულად თარგმნა და მკითხველთათვის მიწოდება.

**ვლ. ემუხვარი.**

# შენიშვნები უკრაინულ საემისიო ბანკის დაარსების შესახებ.

ჩვენი მოხსენებიდან იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ უკრაინულ სახელმწიფო ბანკის დასაარსებლად შესაფერ წინასწარ ფორმას რუსეთის სახელმწიფო ბანკი იძლევა. რუსეთის სახელმწიფო ბანკი წმინდა სახელმწიფო დაწესებულებას წარმოადგენს და უკრაინული ბანკიც ასეთივე უნდა იყოს. რუსეთის სახელმწიფო ბანკმა კარგად შეასრულა თავისი დანიშნულება და უკრაინულ ვაჭარ-მრეწველთა სფეროს შეეჩვია უკრაინაში არსებულ მის ფილიალურ განყოფილებებს. რასაკვირველია აუცილებლად საჭიროა მის სტატუტის ზოგადი შეცვლა თანახმად ომისგან გამოწვეულ მდგომარეობის და აგრეთვე იმ განსაკუთრებულ პირობებისა, რომელთაც უკრაინაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.

ჩვენი აზრით უმთავრესად შემდეგი მოსაზრებანია მხედველობაში მისაღები:

**I ძირითადი კაპიტალი.**

თავისთავად იგულისხმება, რომ სანოტო ბანკისათვის ძირითად თანხას არა აქვს ისეთივე დიდი მნიშვნელობა, როგორც სხვა კერძო საკრედიტო დაწესებულებათათვის, ვინაიდან ოპერაციებისათვის საჭირო მასალას იგი ნოტების გამოცემით პოულობს, მაგრამ ძირითად კაპიტალს მიუხედავათ ამისა მისთვისაც თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს. ის წარმოადგენს უზრუნველმყოფელ ფონდს, შეადგენს საძირკველსპირველად დაწყებულ შენობისათვის და საშუალებას იძლევა ისეთ ეკონომიურ დარგთათვის, რომელნიც არ არიან ნოტების გამოცემასთან შეკავშირებულნი. არაა სასურველი რომ ასეთ ძირითად კაპიტალათ სახელმწიფოებრივი ქონება იქმნას გამოცხადებული და ბანკის მოქმედება იმაზე იქმნას დამყარებული. თუ სახელმწიფო ბანკი განსაზღვრულ თანხით იქმნა აღჭურვილი, მაშინ მისი კრედიტი უფრო ძლიერი იქნება და მას საშუალება ექნება თავისი მეურნეობა სავაჭრო პრინციპების თანახმად აწარმოვოს. სწორედ ამიტომ ყველა არსებული სახელმწიფო ბანკები ძირითად თანხით არიან აღჭურვილნი. რუსეთის სახელმწიფო ბანკის ძირითადი კაპიტალი 50 მილიონ მანეთს უდრის. ახლა უკრაინულ სახელმწიფო ბანკის დასაარსებლად დაახლოვებით **20 მილიონი კარბონავეცი იქნება საჭირო.** თუ ასეთ თანხის შოვნა შეუძლებელი იქმნა, მაშინ ერთად ერთი საშუალება დარჩება ის, რომ მოგება **პირველ ხანებში ძირითად თანხის შედგენას მოხმარდეს.** ამასთან ერთად საჭიროა სათანადო სათადარიგო კაპიტალი, რომელიც დაახლოვებით ძირითად **თანხის 50%-ს უნდა უდრიდეს.**

**ნებადართული ოპერაციები.**

ვინაიდან სანოტო დაწესებულების დანიშნულებას ბაზრისათვის საგადასახადო საშუალებათა მოწოდება შეადგენს, ამიტომ მისი ოპერაციების სფერო შეზღუდული უნდა იყოს. სანოტო ბანკისათვის ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ მტკიცე და საიმედო ოპერაციები, სპეკულატიურ ოპერაციებს, რომელსაც კერძო საკრედიტო დაწესებულებანი აწარმოებენ, სანოტო ბანკში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. ასეთ ოპერაციებს თან ახლავს თვალსაჩინო რისკი, და ნოტების კრედიტს კი, რომელზედაც მთელი სახელმწიფოს მეურნობაა დამყარებული, მარტო წაგების შესაძლებლად საგრძნობ ზიანს აყენებს. თავისთავად საიმედო ეკონომიური დარგებიც, რომლებშიაც კაპიტალი გრძელი ვადით უნდა იყოს გაჩერებული, მაგალითად ჰიპოტეკა, სანოტო ბანკისათვის მიუღებელია, ვინაიდან ნოტების დახსნა ნორმალურ პირობებში აუცილებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი, და შეუძლებელია კი გრძელ ვადიან ოპერაციებში დაბანდული კაპიტალი დაუყოვნებლივ ბანკის განკარგულებაში გადავიდეს. გამოცდი-

ლება გვასწავლის, რომ ზემოხსენებულ პრინციპებიდან გადახვევა ყოველთვის ცუდს შედეგებს იწვევს.

საერთოდ შესაძლებელია, რომ უკრაინულ სახელმწიფო ბანკმა ისეთივე ოპერაციები აწარმოოს, რომლიც რუსეთის სახელმწიფო ბან[illegible] თვის არის ნებადართული. სტატ[illegible]ის ძალით რუსეთის სახელმწიფო ბანკს ბევრად უფრო ფართო ფარგალი ენიჭება ვიდრე სხვა რომელიმე სანოტო ბანკს და კერძოთ გერმანიის საიმპერიო ბანკს. მისი ოპერაციები არ გაინისაზღვრება უზრუნველყოფით, არა ნაკლებ ორ კაცის მიერ ხელმოწერილ ვექსილების განაღდებით, საქონლებისა და ფასეულ ქაღალდების დაწინდრებით, მათი შეძენა-გასაღებით, საკომისიო და საინკასო ოპერაციებით, ფასეულ ნივთების შენახვით,—არამედ მას აგრეთვე ნებადართული აქვს მრეწველობისა, სასოფლო მეურნეობისა წვრილი წარმოებისა და წვრილ ვაჭრობისათვის ხელის შესაწყობად განსაზღვრულ პირობებში და ფარგლებში კრედიტის გაცემა ერთ პირის მიერ ხელმოწერილ ვექსილზე და დაუფარავ კრედიტის მიწოდება საკრედიტო ორგანიზაციებისა და თვითმართველობათათვის, სახელმწიფო ბანკისათვის ასეთ უფლებათა მინიჭება სანოტო ბანკპოლიტიკის თვალსაზრისით საშიშია, მეორე მხრივ შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს იმასაც, რომ რუსეთში არსებული საკრედიტო პირობები სულ სხვაა, ვინემ გერმანიაში და აქ სახელმწიფო ბანკის პოლიტიკა რუსეთის მეურნეობის განსაკუთრებულ მოთხოვნილებაში აქვს ნიადაგი. სანამ არსებობს ასეთი განსაკუთრებული პირობები სანოტობანკ-კრედიტის გაფართოვების თავიდან აცილება საძნელოა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის სახელმწიფო ბანკის სტატუტების 52—177 მუხლები, რამდენადაც მათი შინაარსი მთავარ საკითხებს შეეხება, უკრაინულ სახელმწიფო ბანკისათვისაც მისაღებია. ეს მუხლები იმდენათ საჭიროებენ შეცვლას, რამდენათაც იქ საქონელთა და ფასეულ-ქაღალდთა დაწინდრების შესახებ არის ლაპარაკი. სტატუტი ბანკს ნებას აძლევს მხოლოდ შინ ნაწარმოები საქონელი გარეულ ქალაქებში მიიღოს საწინდრათ.

ჩვენის აზრით საჭიროა საიმედო და წინდახედულად არჩეული უცხოელ ქაღალდებისა და უცხოეთში ნაწარმოებ საქონელთა დაწინდრების ნებართვაც. ვინაიდან ჯერჯერობით უკრაინა იძულებულია უცხოეთიდან დიდძალი ფაბრიკანტები, კერძოთ სამეურნეო მანქანები და იარაღები შემოიტანოს, ამიტომ ამ საგნებით საწინდრათ მიღებისა და მათზე სესხის გაცემის აკრძალვა ჩვენის აზრით შეცდომა იქნება.

**ნოტების დაფარვა—უზრუნველყოფა.**

საკითხს ნოტების უზრუნველყოფისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ კი ეს საკითხი სათანადოთ და საღ სანოტობანკპოლიტიკის პრინციპების შესაფერად არ იქმნა მოწესრიგებული, მაშინ ნოტები ვერც შინ და ვერც უცხოეთში შეინარჩუნებენ ხანგრძლივ ნდობას. ამით თქვენ მოუსპობთ ბანკს წესიერ მოქმედებისათვის აუცილებლად საჭირო წინასწარ პირობებს, და მოსპობთ აგრეთვე საშუალებას სახელმწიფო ვალიუტის მტკიცე ნიადაგზე დაყენებისას და მოწესრიგებულ ფულის ტრიალის დამყარებისას. სრულებით არაა საკმარისი, რომ ნოტების მფლობელთ სახელმწიფოს სიმდიდრეზე მივუთითოთ და დავარწმუნოთ, რომ მათ წინაშე მთელი სახელმწიფოს ქონებაა პასუხისმგებელი, ვინაიდან ეს არ აძლევს მათ ხელმისაწვდომ უზრუნველმყოფ საშუალებას და ვერ სპობს შესაძლებლობას ისეთ უსაზღვრო ემისიისას, რომელიც ნოტებს სრულებით ფასს დაუკარგავს. ფრანგულ „ასიგნატების" ისტორია, რომელნიც სახელმწიფო დოძენების დაწინდრებით იყო დაფარული, ამ შემთხვევაში გამაფრთხილებელ მაგალითად უნდა ჩაითვალოს.

ომის დაწყებამდის თუ კი რუსეთის სახელმწიფო ბანკის მიერ გამოცემული ნოტები 300 მილიონს გადააჭარბებდა, ეს ზედმეტი ნაწილი ოქროთ უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ოქროს მაგიერობას სწევდა: უცხოეთის ბანკნოტები ოქროს ვალიუტა აღნუსხული ტრატები უცხოეთზე და უცხოეთის ბანკში არსებული ანგარიშები, საეჭვოა რომ ნოტების უზრუნველყოფის შესახებ დაწესებული ზემოხსენებული ნორმები უკრაინულ ბანკისათვის გამოსადეგი იყოს, რომელთაც რუსეთშიაც ომის დაწყების შემდეგ წრეს გადასულ ემისიით. შარშანდელ წელს გამოცემული ნოტები 16 მილიარდ მანეთს უდრიდა—ძალა დაკარგა. აგრეთვე შეცდომა იქნება შეუცვლელად გერმანულ სისტემის გადმოღებაც, რომლის თანახმად გამოცემულ ნოტების ერთი მესამედი ნაღდათ და ორი მესამედი ბანკშესაფერად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

ნაღდ დასაფარავ ფონდს შეადგენენ ოქრო, კურსმქონე გერმანული ფული და სახელმწიფო კასის ბილეთები. ბანკ შესაფერ ფონდს კი შეადგენენ—საიმედო ვექსილები, ჩეკები და ხაზინიდან ფულის ასაღები დოკუმენტები. ყოველ შემთხვევაში გერმანული სისტემა უკრაინულ პირობებში შესაფერ საძირკველს წარმოადგენს. ჩვენის აზრით სასურველია, რომ უკრაინულ სახელმწიფო ბანკის ერთი მესამედი ისეთ ღირებულებით იყოს დაფარული, რომელიც შესაძლებლად ხდის მათი დაუყოვნებლივი დახსნას და უზრუნველყოფს მათი ღირებულებას უცხოეთში. დანარჩენ კონტინგენტის დაფარვა კი საიმედო სესხის ქაღალდებით.

ამნაირად მესამედ რიცხოვან კონტინგენტის დასაფარავ საშუალებად გამოსადეგია შემდეგი ღირებულებანი:

1. კურს-მქონე უკრაინულ ლითონის ფული აღნუსხულ ფასში. ამაში რუსეთის ვერცხლის ფულიც უნდა შედიოდეს სანამ ისინი უკრაინაში კანონებრივი საგადასახადო საშუალებას წარმოადგენენ.

2. ლითონი, ოქრო და აგრეთვე უცხოელი ოქროს ფულები რეალურ ფასში.

3. ლითონი, ვერცხლი ბაზრის ფასებში და უცხოეთის ვერცხლის ფულები კურსის მიხედვით.

4. უცხოელი ბანკნოტები, უცხოელ სახელმწიფოთა ქაღალდის ფულები და აგრეთვე სესხის ქაღალდები კურსის მიხედვით. რუსეთის ბანკნოტები კი, სანამ ისინი კანონებრივ საგადასახადო საშუალებას წარმოადგენენ—აღნუსხულ ფასების მიხედვით.

5. ოქროს ვალუტა აღნუსხულის ტრატები უცხოეთზე და ანგარიშები სანოტო და სხვა საიმედო საკრედიტო ბანკებში.

ნოტების დაფარვას იმ ანგარიშებით, რომელსაც სახელმწიფო ბანკს უცხოეთში აქვს, განსაკუთრებით ბერლინში და ვენაში, ყოველ მხრივ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. ვინაიდან ეს ანგარიშები საქონლის გატანასთან არიან მჭიდროთ შეკავშირებული, ამიტომ მათი მოპოება საძნელო საქმეს არ წარმოადგენს. მათი მოპოება კი ექსპორტს ხელს შეუწყობს და უცხოეთში უკრაინის ვალუტას გაამაგრებს.

რამდენათაც ნოტების დაფარვა ზემოხსენებულ ღირებულებებით მოუხერხებელია, შესაძლოა ამ მიზნისათვით ექვს თვიურ ვექსილების, უცხო სახელმწიფო სესხისა და სალომბარდო ქაღალდების გამოყენება. შეუწყნარებელია ნოტების დასაფარავ საშუალებად არ უზრუნველყოფილ კრედიტთა გამოყენება, რომლის გაცემის უფლება განსაზღვრულ პირობებში სახელმწიფო ბანკს უნდა მიენიჭოს.

ასეთ კრედიტის გაცემა შეუძლებელია ნოტების ემისის საშუალებით, ამისთვის სხვა სახსარია საძებარი, ძირითადი და სათადარიგო კაპიტალი, ან სხვა რომელიმე დეპოზიტები.

**ბანკის მართვა-გამგეობა.**

გერმანიის საიმპერიო ბანკის მართვა-გამგეობის სათავეში სახელმწიფო ბანკის დირექტორიუმი სდგას, რომელიც ბანკის მოქმედებას კოლეგიალურად ხელმძღვანელობს. ცხოვრებამ ასეთი კოლეგიალური სისტემა სავსებით გაამართლა. ის უზრუნველყოფს მართველობის სიმტკიცეს და დამოუკიდებლობას. ამიტომ ჩვენის აზრით სასურველია უკრაინის სახელმწიფო ბანკის სათავეშიც კოლეგიალური დაწესებულების დაყენება, რომელსაც თავისი თავმჯდომარე ეყოლება. რასაკვირველია ეს დაწესებულება მთავრობას უნდა ექვემდებარებოდეს.

ვინაიდან სანოტობანკპოლიტიკა არა ფისკალურ მიზნისათვის, არამედ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაფერად უნდა სწარმოებდეს, ამიტომ ბანკის უზენაურ გამგეთ არა ფინანსთა მინისტრი, არამედ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი უნდა იყოს.

ამ მოსაზრებით გერმანიის საიმპერიო ბანკი სახელმწიფო კანცლერს ექვემდებარება, რომლის მაგიერობას ამ საქმეში სახელმწიფო მეურნეობის უწყების სტატსეკრეტარი სწევს.

**ანგარიშების გამოქვეყნება.**

წლიურ ბალანსისა და მიმდინარე ანგარიშების გამოქვეყნებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთის სახელმწიფო ბანკი თავის კვირეულ ანგარიშებს თვის 1, 8, 16 და 23-ს რიცხვებში აქვეყნებდა, შარშან ნოემბერამდის, როდესაც ანგარიშების გამოქვეყნება შესწყვიტეს—გერმანიის საიმპერიო ბანკი კანონის ძალით თვის მე-7, 15, 23 და ბოლო რიცხვებში აქვეყნებს კვირეულ ანგარიშებს. ორივე სისტემა მჭიდროდ არის ფულის მოთხოვნილებასთან ლაკავშირებული, რომელიც თვისა და განსაკუთრებით წლისა და წლის მეოთხედის ბოლოს იჩენს ხოლმე განსაკუთრებით თავს, ამიტომ ზემოხსენებულ ბანკების სისტემას ინგლისისა და საფრანგეთის ბანკების სისტემის წინაშე უპირატესობა აქვს, რომელიც თავიანთ კვირეულ ანგარიშებს ყოველ ოთხშაბათს საღამოს ადგენენ.

**მოგების განაწილება**

იმ მოგებისაგან, რომელიც წლიურ ანგარიშის შემდეგ დარჩება, არანაკლებ 50%-სა ძირითად თანხის შესადგენად უნდა იქნას გადადებული, თუ კი ბანკის დაარსების დროს ასეთი თანხას მოკლებული იყო.

როდესაც ძირითადი თანხა ოც მილიონ კარბონავცს მიაღწევს, მაშინ მოგების დაახლოვებით 10% სათადარიგო თანხის შედგენას უნდა მოხმარდეს, სანამ ეს თანხა ძირითად თანხის ნახევარს არ გაუთანასწორდება. მოსალოდნელი ზარალი სათადარიგო თანხიდან უნდა იქმნას ანაზღაურებული და თუ ასე ჯერ არ არის, მაშინ კის ძირითად თანხიდან. რასაკვირველია შემდეგ წელში კი ეს დანაკლისი სათადარიგო ან ძირითადი თანხისა შემდეგ წლის მოგებისგან უნდა იქმნას შევსებული. ამ შევსების შემდეგ დარჩენილი მოგება შეიძლება სახელმწიფო კასის სასარგებლოთ გადაიდვას.

## ბაქოში

ადერბეიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ 5 ქრისტეშობისთვეს შემდეგი წერილით მიმართა ღენ. ტომსონს.

„ამასთანავე ვაახლებ თქვენს აღმატებულებას ცნობისათვის ორი დეპეშის ასლს, რომლებიც გუშინ მივიღე. ამ დეპეშებიდან თქვენი აღმატებულება დაინახავს, თუ როგორ ვერაგულად ჰსპობენ და ჟლეტენ ანდრონიკას მეთაურობით სომხის ბანდები მაჰმადიანების მოსახლეობას. ღრმესი პატივისცემით მინისტრთა თავმჯდომარე ხოისკი".

დეპეშები:

1. ყარიაგინოდან: უკვე რამდენიმე დღეა, რაც ზანგეზურის მაზრაში ანდრანიკას მეთაურობით უწყალოდ ჟლეტენ მაჰმადიანებს. დაანგრიეს და დასწვეს სოფლები: ამდარა, მენზიდიდი, ტუგუგი, სანანი, ბიტნაზირი, კარზალეში, შამილუ, რაზიელბი და სხვა. დანარჩენ სოფლებსაც ეს დღე ელით. აუარებელია დახოცილი და დაჭრილი; ვინც თავს უშველა ნაწილი სპარსეთში გაიქცა, ნაწილიც არაგრის ნაპირებზე ცის ქვეშ უპატრონოთ დაეხეტება. ასეთივე ბედი ელის ჯებრაილის და შუშის მაზრების მაჰმადინებს. სომხებმა ანდრანიკას მეთაურობით გადასწყვიტეს სულ ერთიანათ გაჟლიტონ და მიწის პირიდან ჰლგავონ უმწეო მაჰმადიანები. ჩვენ გვაკვირვებს, რომ დღეს, როდესაც ევროპამ და მთელმა ქვეყანამ იარაღი დაჰყარა და მშვიდობიანობაზე გაჰყვირიან, სომხები ცნობილი ყაჩაღის მეთაურობით ცეცხლსა და მახვილს აძლევენ მაჰმადიანებს და კავკასიაში მყოფ მოკავშირეთა სახელმწიფოების მისიებისაც კი არ რცხვენიათ და არ ერიდებათ. გთხოვთ დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები მაჰმადიანების ჟლეტის წინააღმდეგ და ვთხოვთ გამოგზავნოთ მოკავშირეთა წარმომადგენელების კომისია ადერბეიჯანის წარმომადგენლით, რომ ადგილობრივ თავიანთი თვალით დარწმუნდნენ სომხების ვერაგობაში. ჯებრაილის მაზრის მაჰმადიანების წარმომადგენელნი ჰუსეინბეგოვი, ვიზიროვი, აგაევი, ალივაზოვი.

2. ჯებრაილიდან: ზანგეზურში სომხებმა დააქციეს თათრების 50 მეტი სოფელი. მოკლულნი და დაჭრილნი ათასობით არის. ანდრანიკი 5 ათასი კაცით ეს სამი დღეა გარსშემორტყმულია ზუბახს და უნდა შუშისაკენ გაიჰრას. ოსმალეთის კომენდანტი წავიდა, მაზრის უფროსი არ მოქმედებს, თავზარდაცემული მოსახლეობა სპარსეთში გარბის. გთხოვთ ეხლა მაინც მიაქციოთ ინგლისის და ამერიკის წარმომადგენელების ყურადღება ამ უბედური ქვეყნის მდგომარეობას. მთლად გაანადგურეს მეხუთე საბოქაულოს ყველა სოფლები, ასე დააქციეს სოფლების მეორე-მესამე და მეოთხე საბოქაულოების ნაწილების სოფლები.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე **ჯამილ სულთანოვი.**

3. ანდრანიკის რაზმის მოქმედება: შინ. საქ. მინისტრმა მიიღო ს. ტერტერიდან 29 გიორგობისთვეს დეპეშა: სომხები დაეცნენ სოფ. გიუნცკაიას, დასწვეს იგი მთლად, გარეკეს საქონელი წაიყვანეს მაჰმადიანი ქალები. მცხოვრებნი ილტვიან და იხიზნებიან. მოდით ადგილობრივ. 521.

მაზრის უფროსი **მელიქ-აბიხოვი.**

## სხვა და სხვა ამბები

**ხალიჩების სოციალიზაცია.**

პეტროგრადელ გაზეთის „სევერნაია კომ"-ის ცნობით პეტროგრადელ ბურჟუათა სახლებში ხალიჩების და მობელების რეკვიზიცია მოუხდენიათ. გამოტანილ ხალიჩებს და გობელენებს (2 პროც. დამატებით სარეკვიზიციო ფასებზე) პროლეტარიატს მიჰყიდიან. ამ რიგად, სწერს გაზეთი, ახლო მომავალში როლების შეცვლა მოხდება: ისინი, ვინც ცხოვრობდნენ სიბნელეში, სიცივესა და ტალახში იცხოვრებენ თბილად, მყუდროთ სინათლეში, რაც წინედ ბურჟუაზიის პრივილეგიას წარმოადგენდა.

**სპეკულიაცია მშობიარობით.**

ეკატერინოდარიდან გვატყობინებენ: აქ ახალი სახის სპეკულიაციაა: „ორსულობაზე". ნუ გგონიათ ანეკდოტი! სასურსათო მმართველობამ დაადგინა სურსათი მისცეს მშობიარე დედაკაცებს, თუ კი სამედიცინო მოწმობას წარადგენენ.

**მაქსიმ გორსკის წინასწარმეტყველება.**

მოსკოვის „იზვესტიებში" მოთავსებულია მ. გორკის ბაასი თანადროულ მდგომარეობაზე. გორკი იტყვის: „რაც უნდა საფრთხე დაატყდეს თავს საბჭოთა მთავრობას შინაურ ასპარეზებზე, იდეური მისი ძლევა-მოსილობა დიდი ნაბიჯებით წინ მიისწრაფის. მალე დადგება ბედნიერი დრო, როცა საბჭოთა მთავრობას არვისთან ბრძოლა აღარ მოუხდება".

**ბოლშევიკები და სომხის მწერლები.**

გაზ. „ნორ-ორიზონი"-ს ცნობით, სომეხთა საქმეთა კომისარიატი მოსკოვში ემზადება სომეხ მწერლების სრულ თხზულებათა გამოსაცემად.

**კერენსკი სტამბოლში.**

სტამბოლის გაზეთების ცნობით, კერენსკის ამ დღეებში სტამბოლს ელიან.

## თეატრი და მუსიკა

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს გვარდიის დღის საზეიმო წარმოდგენა საბანეევას, შულგინას, ორდას, კონშინას და სხ. მონაწილეობით 1) ჯამბაზები, 2) რიგოლეტო (მე 3 აქტ.) და ბალეტი „საათების ცეკვა". შაბათს ბ. ზალიპსკის იუბილე „პიკის ქალი". კვირა დილით ბალეტი და საბავშვო ოპერები, საღამოთი „ნერონი".

**ტარტო.** დღეს დილით „კატიუშა მასლოვა" საღამოთი „რევიზორი"

**ლადია არგონავტოვ** დღეს დიდი ერთდღიანი პროგრამა წარსულ ციკლოსთა საგანგებო ნომრებიდან. ახლო მომავალში გაიმართება იაკობ ლვოვის საღამო.

**ქ. რიადნოვის საოპერო სტუდია.** სტუდიის პირველი ვოკალური საღამო გაიმართება კვირას, 15 ქრისტეშობისთვეს. პროგრამაში იქნება სულ ჩაიკოვსკის ნაწარმოებნი: არიები ოპერიდან, რომანსები, დუეტები, ვოკალური კვარტეტი „ღამე" და ფინალი გუნდით ოპერიდან „ორლეანელი ქალწული".

## განცხადებანი.


**იყიდება სახლი**

მე-9 ნაწილში, რევაზოვის ქუჩა, № 5.

4—1

**დაკარგული**

თბილისის მიხეილის სახელობის რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელში სწავლის დასრულების მოწმობა № 803, რომელიც დაწერილია ი. პ. ბელიაკოვის სახელზე, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1—1942—1


# დღეს სახალხო გვარდიის დღეა


**კერძო სამკურნალო**

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ. სიფილ. (აქს. 606—914 [illegible]ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საქალო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იშხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ძის**

**ჭიჭინაძისა**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**

**სამკურნალო**

**უკბილებათ ავადმყოფთათვის ექიმ ი. მ. მაჩაბლიშვილისა და დ. პ. ნაზარბეგიანცის**

საავადმყოფოში იარსებებს **კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

**ექიმი**

**პ. ტარ. ლორთქიფანიძე**

დაბრუნდა ბაქოდან

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაზარეთის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19.

(თ.—1918).

**ექიმი**

**ივ. ვ. დემურია**

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების.

მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს" პირდაპირ.

**გაიხსნა**

**თვალის საავადმყოფო**

(მუდმივი საწოლებით)

**ექიმი დონხინისა**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 („კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

**ექიმი**

**გ. წინამძღვრიშვილი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

**დოქტორი მედიცინისა**

**მოსკ. ანთიმოსის ძე**

**ქალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

**რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი დოქტორი მედიცინისა**

**ბ. მერაბოვისა**

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჭლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს.

**საწყლებს უფასოთ.**

იბეჭდება თბილისის პუშკინის სახელობის გიმნაზიის გამოცემა

**საქართველოს ისტორია**

ეპიზოდიური კურსი 2 და 3 კლასებისთვის რუსულ ენაზე. ნ. ე. სპილიოტის და დ. ი. კასრაძისა. გამოვა 1919 წ. დასაწყისში.

ხელის მოწერის ფასი 6 მანეთი. გამოცემის დაბეჭდვის და გამოსვლის დროს ფასი შეიძლება შეიცვალოს. ხელის მოწერის დროს გადახდილ უნდა იქნეს 50 პროც. ვინც ბევრ ეკზემპლიარს დაიკვეთს ფასი შეთანხმებით დაეთმობა. ხელის მოწერა მიიღება პუშკინის სახელობის გიმნაზიის კანცელარიაში (ბებუთოვის ქ. № 56 და პუშკინის ქ. № 4). 10—2

**ყოფილი „საუფლისწულო მამულის" ღვინოები**

(Удѣльныя вина)

**გაიხსნა განყოფილება სახელმწიფო სარდაფისა**

**ტელეფ. № 888. სასახლის ქ. № 5. ტელეფ № 888.**

რესტორანების, სასტუმროების და მაღაზიების პატრონები და სხვა მოქალაქენი, გოლოვინის პროსპექტის და ერევნის მოედნის რაიონში მცხოვრებნი, რომელთაც სურთ შეიძინონ **„საუფლისწულო"** მამულის ღვინო **პრეისკურანტის ფასებში,** კეთილ ინებებენ მიმართონ ზემოაღნიშნულ მისამართით. 12—4


პარასკევს, 13 ქრისტეშობისთვეს, სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

**ქ. თბილისის მე-2 რაიონის წევრთა**

**საზოგადო კრება**

დღის წესრიგია:

1) რაიონის კომიტეტის მოხსენება.
2) **გერონტი ქიქოძის** მოხსენება: **„საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო".**

დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ პარტიის წევრებს. დასაწყისი საღამოს 6 ს.

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაზაფხულის შესახვევი № 1.